გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№87 (1113) 3 - 4 აგვისტო, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.
6 აგვისტოს, დილის 10 საათიდან, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუსა და ჯვარში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება!

სახელმწიფო მულტიპლექსისთვის მინიჭებული ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისთვის განკუთვნილი დროებითი სიხშირული რესურსი მუდმივი სიხშირეებით იცვლება. მიმდინარე წლის 3-5 აგვისტოს, გორში, ხაშურში, დუშეთში, ქარელში, ბორჯომში, ახალციხეში, აბასთუმანში, ახალქალაქში, ასპინძასა და ნინოწმინდაში, ციფრულ სატელევიზიო მიმღებ აპარატურაზე ძებნის რეჟიმის გააქტიურების შედეგად, გადაცემების ხილვა შესაძლებელი იქნება 578 მჰც სიხშირეზე.
ანალოგური სიგნალის ეტაპობრივი გათიშვისა და სიხშირული რესურსის ჩანაცვლების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

„მიშა დაჟინებით მეუბნებოდა, ზურა მე არ მომიკლავსო“

პრემიერის გარდაცვალების დღემდე უცნობი ოთხი დეტალი

გვ. 4-5

რას იხსენებს **მარინა მოლოდინი**

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„ზურასთან ერთად, უსუპოვის ნაცვლად, სხვა უნდა მოეკლათ, ერთი ბიჭი, რომელიც მასთან მუშაობდა...“

„ხარშილაძე ნაციონალებს აგინებდა, ჟვანია მაგათ მოკლესო“

ქეთი ჯაყელი: „საჯარო მოხელეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა შევიმუშავეთ“

გვ. 7

მზისგან დამცავი კრემები კიბოს აჩენს!

მეცნიერთა შოკისმომგვრელი დასკვნა

გვ. 9

„მარგველაშვილი „პრივატიზაციას“ არ ექვემდებარება — ის თავისუფალი მოქალაქეა!“

სოსო ცისკარიშვილი პრეზიდენტისა და პრემიერის ერთ კაბინეტში 8 საათით ჩაკეტვის ინიციატივით გამოდის

გვ. 3

ონკოპაციენტებს ფულს სძალავენ?

რა პრეტენზიები აქვთ კიბოთი დაავადებულებს ჯანდაცვის სამინისტროსა და ონკოლოგიურ ცენტრთან

გვ. 6

„კანონიერ ქურდ“ ბადრი კოლუაშვილს „ქათამი“ მიუგზავნეს...

შაქრო კალაშოვი ღებტ-ებთან მოლაპარაკებას ცდილობს



გვ. 8

პატიმარის დღიური

სევდიანი ფრუნზიკ მარტირიანი



გვ. 9

ილია მეორე: „ყოველი ადამიანი უნდა იყოს სხვა ადამიანის გამხარებელი!“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის განცხადებით, ყოველი ადამიანი უნდა იყოს სხვა ადამიანის გამხარებელი.

როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ის დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა, რა არის ადამიანის მთავარი მოვალეობა და მისია, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა სასარგებლო ერის, საკუთარი თავისა და ღვთის სათნოდ.

„მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ყოველი ადამიანი უნდა იყოს მახარებელი, სხვა ადამიანის გამხარებელი. პავლე მოციქული ამბობს: ურთიერთსიმძიმე იტვირთეთ და ერთად აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი. აი, ეს არის ჩვენი მთავარი მისია. ამ წლების განმავლობაში და ჯერ კიდევ ბავშვობაში მე მუდამ მქონდა სურვილი, რომ სიხარული მომეტანა სხვებისთვის – მშობლებისთვის, და-ძმებისთვის, ნათესავებისთვის, ნაცნობებისთვის და ღვთის წყალობით, ამას ვაკეთებდი“, — აღნიშნა პატრიარქმა.

მან ასევე გაიხსენა ერთი ადამიანის ამბავი, რომელსაც ჰყავს მანქანა და ამბობდა, რომ როდესაც ქუჩაში დგას და მასთან ძალიან ახლოს ჩერდება სხვა მანქანა, ის მძღოლს ესალმება და ხელით ანიშნებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. პატრიარქმა მრევლს კურთხევა მისცა, თავადაც იგივე გააკეთონ.

„მე მინდა, რომ ეს წესი შემოვიდეს ჩვენთან. ვისაც გყავთ მანქანა და ახლოს გაჩერდება სხვა მანქანა, მიესალმეთ და ამით თქვენ მოუტანთ სიხარულს. სიხარული არის შედეგი სიყვარულისა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

დავით ნარმანიამ ზოოპარკის აღდგენის საკითხები ზოოპარკის ადმინისტრაციასთან განიხილა

შეხვედრას მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ბიძინა გიორგობიანი ესწრებოდნენ.

თბილისის მერიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაგეგმილი სამუშაოების მიხედვით, გაკეთდება ჰიპოპოტამის, დათვებისა და მგლების ვოლიერები, შემოიღობება ზოოპარკის ტერიტორია და მოხდება გაზიფიცირება.

„განვიხილეთ ზოოპარკის შემოღობვასა და გაზიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები, ვისაუბრეთ ვოლიერების გაკეთებაზეც. ეს ყველაფერი საჭიროა ზოოპარკის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ვიზიტორების მიღება“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერიის გამწვანებისა და ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის უფროსის, ბიძინა გიორგობიანის თქმით, ბიუჯეტში უკვე დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, 55 000 ლარი ვოლიერისთვის, 2 000 000 ლარი კი ზოოპარკის ტერიტორიის შესაღობად გამოიყოფა.

„ინტერპრესნიუსი“

გრიგოლეთში მომხდარი ავარიისას დაშავებულები ჯანდაცვის მინისტრმა მოინახულა

გურიაში, კერძოდ, გრიგოლეთში ავტოსაგზაო შემთხვევისას დაშავებულები, რომლებიც ქუთაისში კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობენ, ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მოინახულა.

მინისტრი ოთხი დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დაშავებული პოლიციელები ინტენსიურ მკურნალობას საჭიროებენ.

„ქუთაისში ოთხი პაციენტია გადმოყვანილი. ისინი ინტენსიურ მკურნალობას საჭიროებენ. მკურნალობას გადის ასევე სასწრაფო დახმარების ექთანი. რაც შეეხება სასწრაფო დახმარების მძღოლს, მას ალბათ დღის განმავლობაში გაწერენ. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზის ცოდნა აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ასეთი უბედურება“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

გრიგოლეთში „მერსედესის“ მარკის ავტომანქანისა და მიკროავტობუსის შეჯახების შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა. შეჯახების შედეგად „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა აფეთქდა და მასში მჯდომი ექვსივე მგზავრი დაიღუპა, მათ შორის ორი მცირეწლოვანი ბავშვია.

სამარშრუტო ტაქსში მჯდომი 3 მგზავრი გადარჩა. ერთ-ერთი მათგანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაჰყავდათ, რა დროსაც სასწრაფო დახმარების მანქანა და პოლიციის პიკაპის ტიპის მანქანა ერთმანეთს შეეჯახა და დაშავებული ქალბატონი ადგილზევე გარდაიცვალა.

ავტოავარიის შედეგად დაშავებულები არიან სასწრაფო დახმარების ექიმები და სამი პოლიციელი. დაშავებულები ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც 2 ან მეტი ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ გორში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1988 წელს დაბადებული დავით ბ. მკვლელობის მცდელობის ბრალდებით გორში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა გორში, მისივე კუთვნილ ავტომანქანაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ახალგაზრდა მამაკაცს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა დანაშაულის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მკვლელობის მცდელობის ბრალდებით მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

სამართალდამცავებმა ორი ნარკორეალიზატორი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე 1995 წელს დაბადებული ზაურ მ. და 1986 წელს დაბადებული ილხამ გ. ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდნენ. ნარკოლოგიური შემოწმებით ზაურ მ-ს ჰეროინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ“ ქ/პუნქტით).

„ვერსიანიუსი“

რუსეთში, რიაზანის ოლქში „მი-28“ ჩამოვარდა

„მი-28“ ტიპის „ბერკუტის“ ჯგუფის ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად ერთი მფრინავი დაიღუპა, მეორემ კი კატაპულტირება მოახერხა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ვერტმფრენი უმაღლესი პილოტაჟის ფრენებს ახორციელებდა.

თვითმხილველების თქმით, ვერტმფრენს ტექნიკური პრობლემა კუდის მხარეს შეექმნა, რის შემდეგაც მან ტრიალი დაიწყო და ჩამოვარდა.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „მთის გაძლიერება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია!“

მთა არის ჩვენი სიამაყე, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის, ამიტომ მთაში მცხოვრებ ხალხს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ და ვიზრუნოთ მათზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის მაღალმთიან კურორტ ბეშუმში მყოფი მოსახლეობისადმი მიმართვისას განაცხადა.

როგორც შუამთობის დღესასწაულზე პრემიერმა აღნიშნა, მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის მთის გაძლიერება და შენარჩუნება. პრემიერ-მინისტრმა მთის კანონის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ მომავალი წლიდან მაღალმთიანი აჭარისა და საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის გასაძლიერებლად სხვადასხვა პროგრამა ამოქმედდება.

„ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ მთის გაძლიერება, მთის შენარჩუნებაა. ჯერ კიდევ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დავიწყეთ სამი წლის წინ მთის პროგრამები და ჩვენ დაპირებისამებრ გვინდა გაცნობოთ, რომ მივიღეთ მთის კანონი, რომელიც უკვე ამოქმედდა და მომავალი წლიდან განსაკუთრებულად შეღავათიან და ხელშემწყობ პროგრამებს დავიწყებთ აჭარის მაღალმთიანეთსა და საქართველოს ყველა მთიან რეგიონში. მჯერა, რომ ეს იქნება დიდი სტიმულის მიმცემი აქ მცხოვრები ხალხისთვის“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

„მარგველაშვილი „პრივატიზაციას“ არ ექვემდებარება – ის თავისუფალი მოქალაქეა!“

სოსო ცისკარიშვილი პრეზიდენტისა და პრემიერის ერთ კაბინეტში 8 საათით ჩაკეტვის ინიციატივით გამოდის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

როგორ აფასებს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, რას ფიქრობს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებსა და ლარის კურსის გაუფასურებაზე, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დაპირისპირებაზე, შეურიგდა თუ არა ბიძინა ივანიშვილს და რამდენად სწორია ოპოზიციური პარტიის ლიდერის რუსეთში ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დალაგების მიზნით? — „ვერსიას“ „ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი, სოსო ცისკარიშვილი ესაუბრა.

— ბატონო სოსო, დენის ტარიფი ლარის კურსის ცვლილებების გამო გაძვირდა და რას ფიქრობთ „ექსპერტთა კლუბში“, რამ გამოიწვია ლარის მკვეთრი გაუარესება — მთავრობის ეკონომიკური გუნდის სისუსტემ თუ ერთ კონკრეტულ უწყებას სდებთ ბრალს?

— ლარის მიმართ ცალსახა განაჩენი უსაფუძვლო იქნება, რადგან ასეთ ცვლილებებს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ახლავს. ჩემთვის ის უფრო გასაკვირია, ვალუტის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგნოზები დროულად რომ არ გაკეთდა და დოლარს, რომელიც ამ პერიოდში ძლიერდებოდა, ყოველგვარი საყვედურის გარეშე, სულ ცოტა, ორი თვე მაინც ვაცალეთ. ვერ ვიტყვით, ჩვენი ვალუტის რყევა, რასაც უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში თვალს ვადევნებთ, ერთი სუბიექტის არასწორმა ქმედებამ განაპირობა... ერთი შთაბეჭდილებაც მინდა გაგიზიაროთ: როდესაც რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საკმაოდ უკმეხად მოიხსენიებდა, ლარს ხანმოკლე, მაგრამ შესამჩნევი გამოჯანმრთელება დაეტყობოდა ხოლმე, თუმცა, როცა იგივე პირი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან გარკვეულ ქებას მოისმენდა, ლარს „გული უწუხდებოდა“ და მაშინვე თავს იუფასურებდა. ჩვენი ხელისუფლებისა და მათ შორის პარლამენტის შეცდომაა, ეროვნული ბანკი, როგორც სუბიექტი და მისი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, როგორც მმართველი, ერთმანეთისგან ვერ გამიჯნეს და რატომღაც ჩათვალეს, რომ ჯავრი ორივეზე ერთად უნდა ეყარათ.

— ჯავრის ამოყრაში „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებებს გულისხმობთ, რომლითაც ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოეყოს?

— დიახ... მუდმივი პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში ვიმყოფებით, რაც უპირველესად, ჩვენ სახელმწიფო ინტერესებს ვნებს. ეს კანონიც ამის ერთ-ერთი დასტურია.

— სხვათა შორის, პირველიდან მესამე მოსმენამდე ანუ დამტკიცებამდე კანონპროექტში 60-ზე მეტი ცვლილება შევიდა. ახლა ირკვევა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) რეკომენდაციით, კანონი ისევ შესაცვლელია. გიორგი ქადაგიძის წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნის საბანკო სექტორი უნდა გადავაყოლოთ?

— ვინ მოამზადა ეს კანონპროექტი, რომელიც ჯერ კიდევ განხილვის პერიოდში, 60-ჯერ უნდა შესწორებულიყო და ის სახე, რაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისთვის მისაღები იქნებოდა, მაინც ვერ მიეღო? ეს ხომ პოლიტიკური აქციაა და არა კანონმდებლობის დახვეწის სურვილი, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც უკანასკნელ დღეებში პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს ვისმენთ?! სირცხვილია, გული მწყდება და მიკვირს, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ თავს რას ერჩის? ჯერ კიდევ 2013 წლის გაზაფხულიდან რატომ დაიწყო ასეთი თავდასხმები მისივე შერჩეულ პრეზიდენტზე? თანდათან იკვეთება, რომ ყველაფერი 10 000 კვ.მეტრი ფართობის ბრალია, თუმცა ასეც რომ არ იყოს, თუ ადამიანი აღიარებს თავის საკადრო შეცდომას სახელმწიფოს პირველი პირის მიმართ, როგორ ვენდოთ ამა თუ იმ თანამდებობაზე მეორე, მესამე, მეცხრე, ან მეასე კანდიდატის დასახელებისას? ფაქტია, კადრებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელისთვის საქმიანობის სურვილის მომშლელია. ერთი მხრივ, ხედავ, რომ რიგით მოქალაქედ თვითმომნათვლელმა ბატონმა ბიძინამ ალიაქოთი ატეხა პრეზიდენტის ინსტიტუტის ირგვლივ, მეორე მხრივ კი ამბობს, არაფერში ვერევიო. არ გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი ისეთი შეზღუდული ცნობიერების ადამიანი, ვერ ხვდებოდეს ან არ წუხდეს პრეზიდენტთან დაკავშირებით შექმნილ რეალობაზე. დარწმუნებული ვარ, პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი 8 საათით ერთ კაბინეტში რომ შეუშვათ და კარი გარედან გადაუკეტოთ, ერთმანეთს ერთ უკმეხ სიტყვას არ ეტყვიან, არც იკამათებენ! ამიტომ რაც მალე დავასრულებთ ცეცხლზე ნავთის დასხმას, უკეთესი იქნება. არადა, სწორედ ამ სპორტითაა დაკავებული დღეს „ქართული ოცნების“ ელიტა, სადაც ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტის ავტორის, თამაზ მეჭიაურის სახით, ახალი სოლისტი გამოჩნდა. მეჭიაური გულწრფელად გამოტყდა, ვერ გავიგე, რა ილაპარაკა პრეზიდენტმა ამ კანონთან დაკავშირებითო, მაგრამ, როგორც კი მისი განცხადება მოვისმინეთ, თურმე, საბანკო კანონის ცვლილება იყო საჭირო, რათა დავემოძღვრეთ, როგორ დაკარგა ამომრჩევლები პრეზიდენტმა, რომელიც გზააბნეული ღამურას რეჟიმშია, ყველაფერი დალაგდა. ამის შემდეგ კიდევ ვინმე იტყვის, რომ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა არ არის, როდესაც ერთი ადამიანის საამებლად, საკუთარ შერჩეულ პრეზიდენტს ასე ექცევით? ქართულ მედიას რომ გადახედოთ, იმდენ ნეგატიურ ინფორმაციას წაიკითხავთ საკუთარ ქვეყანაზე, რომ შემდეგ, ნატო-სა და ევროკავშირზე საუბარი უხერხულია. არ ვარ ტრფიალი რუსული ანდაზის — „сор из избы выносить нельзя“, ეს რუსული სოციალიზმის ფორმულაა, მე კი დემოკრატიის მომხრე ვარ და მე-18 საუკუნის ირლანდიელი მწიგნობრის, ოლივერ გოლდსმიტის ანდერძს ვიზიარებ, რომლითაც თუ შეცდომას დაუშვებთ, უპირველეს ყოვლისა, ხმამაღლა უნდა განაცხადოთ. მარტივად რომ ავხსნათ, პრობლემა კი არ უნდა დავმალოთ, მხოლოდ მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, თუ ეს ქვეყანას წაადგება!

— ბატონო სოსო, პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირების თემა განვავრცოთ, რას ნიშნავს მარგველაშვილის სიჯიუტე მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკის შესახებ კანონს ვეტო დაადო და დაპატიჟების მიუხედავად, ოლიმპიადის გახსნასაც არ დაესწრო?

— მრავალი წელია ვიცნობ ჯერ სტუდენტს, ახალგაზრდა მეცნიერს, შემდეგ ძალიან საინტერესო მოქალაქეს, გიორგი მარგველაშვილს და ცნობილია რა, მისი პირადი თვისებები ჩემთვის, რასაკვირველია, თუ ბატონ ბიძინას დააინტერესებდა ჩემი აზრი, ვეტყოდი, თქვენს მიერ შერჩეული პრეზიდენტობის კანდიდატი თქვენზე ნაკლებად ჯიუტი არ გეგონოთ-თქო! უპირველეს ყოვლისა, გიორგი მარგველაშვილი უაღრესად პატიოსანია, ფასეულობები და ცნებები ერთმანეთში არ აურევია, მაგრამ, როდესაც მის სიჯიუტეზე მასზე ჯიუტი წარმდგენი საუბრობს, გასაოცარია. ივანიშვილი უნდა მიმხვდარიყო, რომ ზოგიერთი მისი რჩეულისგან განსხვავებით, მარგველაშვილი „პრივატიზაციას“ არ ექვემდებარება! ის თავისუფალი მოქალაქეა, რომელსაც საკუთარი აზრი და ამ აზრის არგუმენტაციის უნარი აქვს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ ელიტაში ყალიბდება ტრადიცია, როდესაც პრეზიდენტის ლანძღვა-გინებით, საკუთარ პოლიტიკურ შემქმნელს მუდმივად ერთგულებას უმტკიცებს და ეს ცუდია. ესაა ერთგულების ფიცი „ქართული ოცნების“ იმ წევრთათვის, რომელთაც საკუთარი სავარძლები ურჩევნიათ ადამიანურ და მოქალაქეობრივ ავტორიტეტს.

— მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალიასა და ვანო მერაბიშვილის შეწყალებასაც აპირებს.

— ეს „ქართული ოცნების“ ოცნებაა... სხვათა შორის, თუ სასჯელებსა და ბრალდებებს გადავხედავთ, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს სიმწრის ღიმილი დაეუფლება. ეს ადამიანები ახლა ციხეში სხედან და მათი ბრალდებების დამძიმების მსურველი არ გახლავართ, მაგრამ ვიდრე ვინმეს შეიწყალებენ ან პატიმრობას მიუსჯიან, იქნებ, საჯაროდ გააცნონ საზოგადოებას, რა ბრალდებით დააკავეს. ჰკითხონ საზოგადოებას, რაიმე სხვა ბრალდებები ხომ არ გაუგიათ მათთან დაკავშირებით? რაც შეეხება კაკო ბობოხიძის ძმის შეწყალებას, ამას პრეზიდენტზე თავდასხმის ქარიშხალი მოჰყვა, მაგრამ სტალინის დროსაც კი აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, როდესაც მამის გამო, შვილი ზარალდებოდა ან პირიქით! 20 000 ლარი გაფლანგა და ამის გამო იჯდა ციხეში, მაგრამ პროკურატურის უნიათობის ბრალია, ამ ადამიანს სხვა ბრალდებები რომ ვერ დაუმტკიცდა. ახლა, როდესაც პრეზიდენტმა შეიწყალა, რასაც მასზე თავდასხმების ქარიშხალი მოჰყვა, ნურავის ვეტყვით, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნა არ არსებობს! პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა არ შეიძლება!

— ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერმე ახსენეთ, შეურიგდით?

— არ გვიჩხუბია, მეტიც, არც კი გვიკამათია. თავს უფლებას ვაძლევ, რომ თავისუფლად გამოვხატო საკუთარი აზრი, თუმცა ეს ზოგიერთი ტელეკომპანიისთვის უკვე აკრძალული აღმოჩნდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი გახდა, სასჯელაღსრულების — კახი კახიშვილი

ამ დრომდე გიორგი მღებრიშვილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც უწყებას უსაფრთხოების სამსახური გამოეყო და ვახტანგ გომელაური ახლადშექმნილი სამსახურის უფროსად დაინიშნა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების დაწესებულება იქნება, მუშაობას 1 აგვისტოდან შეუდგა.

გიორგი მღებრიშვილი 1970 წლის 9 მაისს თბილისში დაიბადა. 1990-1996 წლებში დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა — სამართალმცოდნეობა. მან კარიერა 1997 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, სტაჟიორად დაიწყო. ამის შემდეგ გიორგი მღებრიშვილი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. 2014 წლიდან დღემდე იგი იკავებდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პოსტს.

გიორგი მღებრიშვილი ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რაც შეეხება კახა კახიშვილს, ის ამ დრომდე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე იყო. ასევე არის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ექსპერტთა კლუბის წევრი.

კახა კახიშვილს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა.

მან კარიერა შსს-ს თბილისის ისნის რაიონის შსს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურში პოლიციელის თანამდებობაზე დაიწყო. ამის შემდეგ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, იყო პროკურატურის წარმომადგენელი ევროპის საბჭოში. იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების უფროსი, სახალხო დამცველის რწმუნებული სამართალდამცავ ორგანოებში, კასპის, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი, საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ სამართლებრივი დირექტორი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საარჩევნო სიის დაზუსტების სახელმწიფო კომისიის წევრი.

კახა კახიშვილი ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

„ზურასთან ერთად, უსუპოვის ნაცვლად, სხვა უნდა მოეკლათ, ერთი ბიჭი, რომელიც მასთან მუშაობდა...“

პრემიერის გარდაცვალების დღემდე უცნობი ოთხი დეტალი — რას იხსენებს მარინა მოლოდინი

ივანო პავლიაშვილი

ეს ზაფხულის სეზონის ბოლო არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ, მართლაც, არა-ჩვეულებრივია — ადამიანი, რომელიც ცხონებულ ზურა ჟვანიასთან 1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან მეგობრობდა, პრემიერის ბუნდოვან გარდაცვალებაზე საუბრისას ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან, დღემდე უცნობ დეტალზე ამახვილებს... 1995, 1999 და 2003 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი მარინა მოლოდინი, რომლის აქტიური მეცადინეობითაც თავის დროზე მთის კანონი იქნა მიღებული, ერთ-ერთი მათგანია, ვინც „ჟვანიას გუნდში“ მისი გარდაცვალების შემდეგაც დარჩა. „არჩევანი გარდაცვლილი მეგობრისა და სიმართლის სასარგებლოდ გავაკეთე... საერთოდ, ზურასთვის ბევრჯერ უღალატიათ, მაგრამ ყველას პატიობდა. ჩემი აზრით, სწორედ ამ პატიებამ დაღუპა“, — ამბობს სამი შვილის დედა მარინა მოლოდინი, რომლის ერთი პირმშოს ნათლია ზურაბ ჟვანია იყო, მეორის კი გია ბარამიძეა...

— მარინა, ხარშილაძე-ძაძამიას სასამართლოდან რას ელი?

— არაფერს, უფრო სწორად, რასაც ველოდი, ის ხდება.

— რას ელოდი?

— რას და, ნაციონალების დაქირავებული ზურას ყოფილი „მეგობრები“ გამოვიდოდნენ და დავალებას გაახმოვანებდნენ. ეს ადამიანები ზურას საწინააღმდეგოდ ყველაფერს იკადრებენ და იტყვიან. არც ის გამიკვირდება, ხარშილაძემ და ძაძამიამ, რომლებიც, ჩემი აზრით, ამ მკვლელობის თანამონაწილენი არიან, თავი ჩაგრულის როლში გამოიყვანონ. მოკლედ, ყველაფერს გააკეთებენ, თავიანთი ნამოქმედარი „გააპრავონ“!

— ესე იგი, პრემიერის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგაც დარწმუნებული ხარ, რომ ეს მკვლელობა იყო?

— დიახ, მკვლელობა იყო და აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

— აზრი ერთია, მტკიცებულებები — მეორე. ხარშილაძე-ძაძამიას პროცესიდან მკვლელობის ნიშნები ჯერჯერობით არ იკვეთება...

— როგორც ვიცი, სასამართლო ხარშილაძე-ძაძამიას საქმეს იხილავს: მათ კანონით მინიჭებული უფლება არ შეასრულეს — დაცვის ობიექტი მიატოვეს. რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, გამოძიება ჯერ დასრულებული არაა, თუმცა ძალიან ბევრი ახალი დეტალი და მოწმე არსებობს...

— ასეა თუ ისე, დაცვის წევრების სასამართლომ გარკვეული მითები დაანგრია. ასე, მაგალითად, წლების განმავლობაში, ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ემიგრაციაშია, ამტკიცებდა, რომ დაინახა, როგორ შეიტანეს კორპუსში ტომრები. დაცვის წევრები ამას ადასტურებენ და ამბობენ, რომ რაულ უსუპოვის ცხედარი ჯერ ბინიდან გამოიტანეს, შემდეგ კი მიხვდნენ, შეცდომა დაუშვეს და უკანვე შეიტანეს...

— არ ვთვლი, რომ ხარშილაძე-ძაძამიას „აღსარებებით“ რამე მითი დაიმსხვრა. სხვათა შორის, ნათელა მოდებაძე, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, დაკითხული არაა... როცა სასამართლო მკვლელობის საქმის განხილვას დაიწყებს, მაშინ გამოჩნდება, რა გაქარწყლდება და რა არა. კობა ხარშილაძის მონათხრობი, რომ გვამი ჯერ გამოიტანა, შემდეგ კი დააბრუნა, ჩემთვის აბსოლუტური ზღაპარია. ის ცდილობს, თავისი დანაშაული როგორმე გადაფაროს, მაგრამ გადაფაროს კი არა, დაადასტურა, რომ ამ მკვლელობის ერთ-ერთი მოწმე და „გამპრავებელია“. ყველაფერს თავი დავანებოთ, ზურა მართლა იმ მდგომარეობაში რომ ენახა, რა მდგომარეობაშიც თითქოს ნახა, გვამის გადაადგილების უფლება ვინ მისცა?

— როგორც თვითონ ამბობს, ასე იმიტომ მოიქცა, რომ პრემიერის ღირსებას გაუფრთხილდა...

— ღირსებას კი არ გაუფრთხილდა, კვალი წაშალა. მეგობარი, რომელიც მეგობრის ღირსებას უფრთხილდება, ასეთ სისულელეებს არ ილაპარაკებს! ადამიანს, ვის ოჯახშიც დადიოდა, ვის შვილებსაც ასეირნებდა და ვის დედასაც ეფერებოდა, ასეთ სიბინძურეს არ დააბრალებს!

— მარინა, რა იცი, იქნებ, გულწრფელია?

— მისი გულწრფელობის არ მჯერა! ვიდრე მოასვენებდნენ, ზურას სახლში ვიყავით შეკრებილები, კობა ხარშილაძე მოვიდა, ნაციონალებს აგინებდა და ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარებოდა, რომ ეს მკვლელობა იყო.

— ამის მომსწრე კიდევ ვინაა?

— ძალიან ბევრი ვინმე. მთელი სამეგობრო იქ ვიყავით... ხარშილაძე რომ მოვიდა, გაფართოებული თვალებით ვუყურებდით.

— ანუ ჰკითხეთ, რა მოხდაო?

— დიახ, ყველას გვაინტერესებდა...

— და რა გიპასუხათ?

— იგინებოდა, მაგათი დედაცო და ამბობდა, რომ ზურა მოკლული იყო.

— კონკრეტულად ნაციონალებზე თქვა, მაგათი დედაცო?

— არა.

— აბა, რა იცი, რომ ნაციონალებს აგინებდა?

— ყველა ვთვლიდით, რომ მაგათი მოკლული იყო... კონკრეტულად ხელს დღესაც ვერავის ვადებთ... ვიცით, რომ მოკლულია, მაგრამ არ ვიცით, მკვლელობა რა ვითარებაში მოხდა. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს...

— ხარშილაძეს არ ჰკითხეთ, ნაციონალებზე ეჭვი რატომ ჰქონდა?

— ეს ისეთი სიტუაცია იყო, რომ არავინ არავის არაფერს ეკითხებოდა. შეშფოთებულები და გაოგნებულები ვიყავით, თუმცა მაშინვე, პირდაპირ ეთერში განვაცხადე, ეჭვი არ მეპარება, ზურა მოკლულია-მეთქი. სხვათა შორის, თავიდან გვჯეროდა, რომ ეს საქმე ძალიან მალე გაიხსნებოდა... ხარშილაძეს რა უნდა დავუჯერო, როცა მკვლელობის დროს რესტორანში ქეიფობდა, საიდანაც საბილიარდოში წავიდა...

— ყბადაღებული სეიფი ხარშილაძემ გახსნა თუ ძაძამიამ?

— ხარშილაძემ.

— ესე იგი, იმ დროს, როცა, შენი თქმით, ნაციონალებს აგინებდა, ხარშილაძეს სეიფი უკვე „გასუფთავებული“ ჰქონდა?

— ამის შესახებ მაშინ არ ვიცოდით.

— მარინა, ამ დეტალის წამოტივტივების გამო, მოწმედ რომ დაგიძახონ, მზად ხარ?

— იმას ვლაპარაკობ, რაც იმ დღეს მოვისმინე...

— თუკი ხარშილაძე მაშინ ნაციონალებს აგინებდა, აბა, მერე „პლასტინკა“ რატომღა შეცვალა?

— ზურას მკვლელობის მერე ხარშილაძე დაწინაურდა — გამგებელი გახდა, ძაძამიამაც ბიზნესი დაიწყო ანუ ეს ადამიანები დაასაჩუქრეს. ვერასოდეს დავუშვებდი, რომ ხარშილაძე და ძაძამია ნაცმოძრაობაში გავლენიანი ფიგურები გახდებოდნენ, მაგრამ ისინი სულგაყიდულები აღმოჩნდნენ.

— ეს ორი ადამიანი ზურას გვერდით როდის გამოჩნდა?

— სულ მის გვერდით იყვნენ... სიმართლე გითხრა, მათ ინტელექტზე დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია.

— ჟვანია ორივეს ენდობოდა?

— სამწუხაროდ, ზურა ყველას ენდობოდა და სწორედ ამ ნდობამ დაღუპა...

— გარემოცვა, მათ შორის მეუღლე აცხადებს, რომ დიეტაზე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ექსპერტიზის დასკვნით, გარდაცვალებამდე პრემიერმა ძეხვი მიირთვა... ამ შეუსაბამობაზე რაღას იტყვი?

— ამ საქმეში ძალიან ბევრი შეუსაბამობაა. დიახ, ნამდვილად დიეტაზე იყო — ვიდრე ზურას მოასვენებდნენ, ქალბატონმა რემამ გვითხრა, წუხელ, თორმეტს წუთები აკლდა რომ გავისტუმრე. მანამდე შევთავაზე, ევახშმა, მაგრამ ზურიკომ მითხრა, დიეტაზე ვარო... ამიტომ ნაკლებად მჯერა, რომ ზურამ ძეხვი ჭამა და კონიაკი დალია. მეორე შეუსაბამობა ისაა, რომ ჯერ თქვეს, ძეხვი საკაძის მოედანზე მდებარე მაღაზიაში იყიდეს, მერე აღმოჩნდა, თურმე საბურთალოს ქუჩაზე შეიძინეს...

— ეს შეუსაბამობა ცნობილია, მაგრამ მარინა, სხვა რამე გკითხე ანუ ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის მიხედვითაც პრემიერის კუჭში ძეხვისა და ალკოჰოლის ნარჩენებია აღმოჩენილი, ყალბია?

— სასამართლოზე ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა, რომ სხეულზე დაზიანებები ჟვანიასა და უსუპოვსაც სიცოცხლეში აქვთ მიყენებული...

სხვათა შორის, აშშ-დან მოსული ექსპერტიზის დასკვნაც გააყალბეს — იქ სულ სხვა რამ წერია და სულ სხვა რამ წაგვიკითხეს.

— ნაციონალები არც უარყოფენ, რომ ამერიკული ექსპერტიზის უხერხული დეტალები არ გაასაჯაროვეს...

— იქ უხერხული არაფერი წერია. მაშინ დეპუტატი ვიყავი, პარლამენტში ამერიკული დასკვნის ასლები დაგვირიგეს, სადაც გარკვევით ეწერა, რომ იმ ბინაში გაზი სასიკვდილო არ ყოფილა...

— მარინა, გარდაცვალების შემდეგ ზურაბ ჟვანიას გვერდით რამდენიმე ადამიანი დარჩით. ნაციონალებს, მათ მხარეს რომ გადასულიყავი, რამე შემოუთავაზებიათ?

— იმ პერიოდში არა და ვერც შემომთავაზებდნენ, რადგან იცოდნენ, ზურას ერთგული ვიყავი. შეთავაზება მოგვიანებით იყო...

— მაინც როდის?

— როცა ოპოზიციაში, ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში წავედი...

— ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, თითქმის 2008 წლამდე, მიხეილ საკაშვილთან, როგორც ვიცი, გარკვეული ურთიერთობა გქონდა... მიშასთვის ამ თემაზე არაფერი გითქვამს ან გიკითხავს?

— ზურას თემაზე მე და მიშას საუბარი მაშინ გვქონდა, როცა ჰოლანდიაში მივფრინავდით...

— ამ დროს პრემიერი რამდენი ხნის გარდაცვლილი იყო?

— რამდენიმე თვის... თვითმფრინავში მიშამ თვითონ დამიძახა და დაჟინებით მეუბნებოდა, ზურა მე არ მომიკლავსო!

— ეს თემა თავისი სურვილით წამოჭრა?

— დიახ.

— არ ჰკითხე, რატომ ამბობდა, ზურა არ მომიკლავსო?

— არა... იცოდა, ეს თემა ძალიან მაინტერესებდა და მითხრა, თვალებში აღარ მიყურებ, მაგრამ გეუბნები, ზურა მე არ მომიკლავსო. მივუგე, თუ არ მოგიკლავს, მაშინ გამოძიებას ხელი შეუწყვე-მეთქი.



— მარინა, ზურასთან 90-იანი წლების დასაწყისიდან მეგობრობდი... რასაც ახლა გკითხავ, გულწრფელად მიპასუხე: ჟვანიას ძმასთან, გოგლასთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?

— არაჩვეულებრივი... დასასვენებლად ერთად დადიოდნენ, ბაზალეთზეც ერთად ჩამოდიოდნენ ხოლმე. გოგლა და მისი ცოლ-შვილი ქალბატონ რემასთან და წყნეთშიც ხშირად მინახავს...

— ნინო ქადაგიძე-ჟვანიასა და გოგლა ჟვანიას როგორი ურთიერთობა აქვთ?

— ნორმალური...

— ძმის გარდაცვალების შემდეგ, გოგლა ჟვანია პოლიტიკაში ჩაერთო და მეტ-ნაკლებად, პოლიტიკური ფიგურა გახდა... საზოგადოების მცირე ნაწილში არსებობს მოსაზრება, რომ გარდაცვალების თემით სპეკულირება ხდება...

— არა, არა... ოჯახი მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, სიმართლე გაირკვეს და მკვლელი, ბოლოს და ბოლოს, დაისაჯოს...

— ერთი სიტყვით, ყასიდადაც არ უშვებ, რომ პრემიერი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა?

— არა!

— რატომ?

— ზურას რეიტინგმა ზრდა მას შემდეგ დაიწყო, რაც პრემიერ-მინისტრი გახდა.

— ეს რა შუაშია?

— მანამდე მისი რეიტინგი მაინცდამაინც მაღალი არ იყო, რადგან წლების განმავლობაში ძალიან ბევრ ტალახს ესროდნენ, მაგრამ სხვა პოლიტიკოსი, ვინც ამდენ სიბინძურეს ისე აიტანდა, როგორც ზურა იტანდა, არ მეგულება. მისი ეშინოდათ, ამიტომ საშიშროებას ვგრძნობდი, მით უმეტეს, ნაცმოძრაობას გულზე დიდად არ ეხატებოდა — ზურა ნაციონალთა სიბინძურეების ერთადერთი შემაფერხებელი ბერკეტი იყო.

— მარინა, თუკი ჟვანია რამეში ხელს უშლიდა, ვთქვათ, დაიჭერდნენ. მოკვლა რა აუცილებლობა იყო?

— ზოგი ამბობს, რომ ეს დაგეგმილი მკვლელობა იყო, მე კი მგონია, მკვლელობა შემთხვევით, ემოციურ ნიადაგზე მოხდა.

— მაშასადამე, ე.წ. საფერფლის ვერსიის გჯერა?

— არა... ყოველ შემთხვევაში, დაგეგმილი რომ ყოფილიყო, ისე მოკლავდნენ, საზოგადოებას ამდენი კითხვის ნიშანი არ გაუჩნდებოდა.

— შენი ვერსიით, ეს შემთხვევითი მკვლელობა სად მოხდა?

— ვფიქრობ, შავნაბადაზე, თუმცა დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი... საერთოდ, ამ საქმეში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა, თუნდაც ის, თუ რატომ მოყვა იმ ღამეს პრეზიდენტი სააკაშვილი ავარიაში...

— ეს მილიონჯერ დასმული კითხვებია... როგორც მეგობარმა, ალბათ, იცოდი, რომ ჟვანიას ე.წ. კონსპირაციული ბინები ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარეობის დრო ჰქონდა, არა?

— შეიძლება, ჰქონდა, მაგრამ არა იმისთვის, რასაც ესენი „აცხობენ“. არ ვიცი, კონსპირაციული ბინა ჰქონდა თუ არა, მაგრამ რომც ჰქონოდა, ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. ჩვენ იმის გარკვევა გვაინტერესებს, ეს მკვლელობა იყო თუ არა.

— მიშამ ხომ გითხრა, მე არ მომიკლავსო?

— მერე, რა? ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

— როცა გეუბნებოდა, ზურა მე არ მომიკლავსო, სააკაშვილი თვალებში გიყურებდა?

— კი, მიყურებდა.

— დაუჯერე?

— არა. თუ პრეზიდენტი ვარ და მეგობარს მიკლავენ, ყველაფერს გავაკეთებ, ეს მკვლელობა გავხსნა, მაგრამ ამის სურვილი ვერ დავინახე. პირიქით, ყველა მასალას ნაცარს აყრიდნენ და კვალს შლიდნენ, რომ მკვლელობა გაზსა და სექსუალურ ორიენტაციას დაკავშირებოდა.

— მარინა, ამ თემაზე სხვა დროს კითხვებს არ დავსვამდი, მაგრამ ყველაფერი უკვე ღიადაა ნათქვამი: ორიენტაციასთან დაკავშირებით, ალბათ, გახსოვს, 90-იანი წლების ბოლოს ვიდეო გავრცელდა, სადაც ისმოდა ფრაზა: „ჩემი კუტუნია ბიჭი“...

— სხვებს ამაზე უარესები აქვთ ნათქვამი, თან ეს ფრაზა არაფერს ნიშნავს. სხვათა შორის, ისინი, ვინც ამ ვიდეოში ჩანდნენ, მერე ნაცმოძრაობაში იყვნენ...

— ...რაულ უსუპოვი თქვენს წრეში პირველად როდის გამოჩნდა?

— ახლოს არ ვიცნობდი, პარტიის ოფისში ვხედავდი ხოლმე, თუმცა ყველა ამბობს, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი იყო.

— მარინა, მოდი, შენს ანუ მკვლელობის ვერსიას გავყვეთ: ვთქვათ, პრემიერი მოკლეს, მაგრამ სხვა ადამიანის მოკვლა რაღა საჭირო იყო ან მაინცდამაინც უსუპოვი რატომ შეარჩიეს?

— როგორც ვიცი, უსუპოვის ნაცვლად სხვა უნდა ყოფილიყო.

— ვინ სხვა?

— ერთი ბიჭი, რომელიც ზურასთან დიდი ხანი მუშაობდა, მაგრამ ის ვერ მოძებნეს და ამიტომ უსუპოვს მიადგნენ.

— ყველაფერი ეს საიდან იცი?

— ეს ისაა, რაც მაშინ ჩვენი გუნდისგან მესმოდა...

— ე.წ. ჟვანიას გუნდი პრემიერის გარდაცვალებიდან რამდენი ხნის შემდეგ დაიშალა?

— ჩვენი ერთიანობა მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ოჯახს ჩამოცილდებოდნენ და საუბარს სხვა ვერსიაზე დაიწყებდნენ...

— ზურაბ ჟვანია შენი ერთი შვილის ნათლია იყო, გია ბარამიძე — მეორე შვილისაა ანუ არჩევანი შვილების გარდაცვლილ და ცოცხალ ნათლიას შორის გააკეთე...

— არჩევანი სიმართლეზე გავაკეთე! ვანო, წეღან გითხარი და ახლაც გავიმეორებ, შინაგანი განწყობა მქონდა, რომ ზურას, ადრე თუ გვიან, ჩამოიცილებდნენ. მკვლელობაზე კი არ ვფიქრობდი, არამედ მეგონა, პოლიტიკიდან წასვლას აიძულებდნენ და ეს მასთან ბოლო შეხვედრის დროსაც ვიგრძენი.

— ბოლო შეხვედრაზე რა მოხდა?

— ზურასთან, კანცელარიაში მივედი. მთის კანონზე ვსაუბრობდით და მითხრა, მალე ჩვენი ბიუჯეტი 4 მილიარდი გახდება, ჩამოწერე, მთისთვის საჭირო რა არის და დაგეხმარები, რომ მთა ავაღორძინოთო. სხვათა შორის, იმაზეც ვილაპარაკეთ, „გაერთიანებულ დემოკრატებს“ ვაშლიჯვრის ოფისი შეგვენარჩუნებინა და არც ზურას გუნდი უნდა დაშლილიყო... ამასობაში, მოახსენეს, ვანო მერაბიშვილი მოვიდაო, სხვა ზურა დავინახე — ხელები აუკანკალდა. მივხვდი, ნაციონალებს ორი დემოკრატი ერთად არ უნდა ენახათ.

— ჟვანიამ გითხრა, კაბინეტიდან გასულიყავი?

— არა, ზურა ამას არ მაკადრებდა, მაგრამ მივხვდი, რაღაც ხდებოდა... ვანო შემოვიდა და ზურამ უთხრა, აი, მარინა მთის კანონთან დაკავშირებით მოვიდაო. ვანო მერაბიშვილს ვინ ეკითხებოდა, ზურასთან რისთვის ვიყავი ან ზურამ რატომ აუხსნა? — ამ კითხვებზე პასუხი არ მაქვს... ამ შეხვედრის მერე გამიათმაგდა შიში, რომ ზურას მოიშორებდნენ...

— უცნაური მოცემულობაა: ბარამიძესა და სხვებს ბრალს სდებ, რომ ზურას მკვლელებთან დარჩნენ, ამ დროს ზურაბ ნოღაიდელს, რომელმაც ჟვანიას ადგილი დაიკავა — პრემიერი გახდა, ყასიდადაც არ საყვედურობ; მეტიც, როცა ოპოზიციაში წავიდა, მისი პარტიის სახე გახდი.

— საქმე სწორედ მაგაშია: მიშა ამ ამბავში სუფთა რომ ყოფილიყო, არავის ჰკითხავდა, პრემიერად ვინ დაენიშნა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მოვეთაფლეთ და ჩვენი გული მოეგო, შემოთვალა, გუნდი ვისაც გადაწყვეტს, ზურას სამეგობროდან პრემიერი ის გახდებაო. ნოღაიდელს პირველმა მე ვუთხარი, გვინდა, პრემიერ-მინისტრი შენ გახდე-მეთქი. მიპასუხა, გაგიჟდი, ქალო?! მოკლედ, ნოღაიდელის გაპრემიერება მიშას კი არა, ზურას მეგობრების არჩევანი იყო.

— კი ბატონო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეგობრებმა საჯაროდ იეჭვეთ, რომ ჟვანია მოკლეს, ნოღაიდელმა, პროტესტის ნიშნად, პრემიერის პოსტი რატომ არ დატოვა?

— იმიტომ არ დატოვა, რომ გამოძიება ბოლომდე მისული არ იყო...

— გამოძიება არც ახლაა ბოლომდე მისული...

— ჰოდა, ველოდებით...

— მაინც ვერ გავიგე, თუკი ნოღაიდელი არა, ბარამიძე და სხვები რატომ აითვალწუნე?

— არავინ ამითვალწუნებია, უბრალოდ, მათ ისეთივე განწყობა აღარ აქვთ, რაც ზურას მკვლელობის პირველ დღეებში ჰქონდათ, ისინი ძალიან ცუდად იქცევიან და ველოდები სასამართლოს: მაინტერესებს, პროცესზე რას იტყვიან.

— ხათუნა გოგორიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ამერიკელების დასკვნა ნინო ჟვანია-ქადაგიძესთან ერთად აქვს ნანახი...

— ვანო, შინაგანად ერთსაც არ სჯერა, რომ ზურაბ ჟვანია გაზით გაიგუდა, მაგრამ სხვა გზა აღარ აქვთ, თორემ ის დასკვნა, ხომ გითხარი, მეც წაკითხული მაქვს და იქ სხვა არაფერი წერია, გარდა იმისა, რომ ბინაში არსებული გაზის დონე სიკვდილს ვერ გამოიწვევდა. გმირობა ყველას არ შეუძლია. ისინი ცხოვრობენ პრინციპით: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“

— მარინა მოლოდინი გმირულად მოიქცა?

— საგმირო არაფერი გამიკეთებია! ისე მოვიქეცი, როგორც ნამდვილი მეგობრები იქცევიან — ის ვერსია, რასაც ცხვირში მტენიდნენ, არ დავიჯერე. მე დღესაც ზურას პრინციპით ვცხოვრობ და მინდა, თავისუფალი, აყვავებული და დემოკრატიული საქართველო მალე ვნახო!

— ისიც უცნაურია, რომ მეგობრები ხარშილაძე-ძაძამიას პროცესს არ ესწრებით...

— ვის პროცესზე მივიდეთ?.. ხარშილაძის ნაბოდვარს მოვუსმინოთ?.. იმ სასამართლოზე მივალთ, როცა ჟვანიას მკვლელობის გამოძიება დამთავრდება და პროკურატურა საქმეს სასამართლოს გადასცემს!..

— მარინა, მართალია, ჩემი მეგობარი ხარ, მაგრამ ხომ იცი, ინტრიგა მიყვარს. ჰოდა, უნდა გკითხო: ამ ნაციონალებს მიწაში კი დებ, მაგრამ დაგავიწყდა, მათთან მეგობრობდი?!

— კი, ვმეგობრობდი...

— ზურას გარდაცვალების მერეც მეგობრობდი...

— ძალიან ბევრ ნაციონალთან დღესაც ვმეგობროობ...

— თუკი ბარამიძესა და სხვებს განაციონალება არ ეპატიებათ, ნაციონალებთან მეგობრობა შენ რატომ გეპატიება?

— აქ „დიდ თავებზეა“ ლაპარაკი, თორემ ის ნაციონალები, რომლებთანაც ვმეგობრობდი და ვმეგობრობ, ზურას მკვლელობას ისევე განიცდიდნენ და განიცდიან, როგორც მე და ჭირისუფლებად მედგნენ.

— ჟვანიას გარშემო უამრავი ადამიანი იყო, თუმცა ტრაგედიის ღამეს, როგორც ცნობილია, დაცვამ პირველად გია ბარამიძეს დაურეკა. რატომ გია?

— ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში გია ბარამიძე ერთ-ერთი ვაჟკაცი იყო... ალბათ უნდოდათ, მიეყვანათ და დადგმული სცენა ენახვებინათ, რათა მერე გაჩუმებულიყო...

— რომელი დადგმული სცენა?

— ის სცენა, რომელიც, როგორც ვიცი, ნინოსაც აჩვენეს.

— ანუ, ეს ის სცენაა, რაზეც ხარშილაძე საუბრობს?

— დიახ...

— ნაციონალები პრემიერის ქვრივს ფინანსურად დაეხმარნენ?

— როგორც ვიცი, ზურას ხელფასი და დაცვა, ვიდრე ბავშვები სრულწლოვნები გახდებოდნენ, შეუნარჩუნეს. ბადრი პატარკაციშვილიც ეხმარებოდა...

— მიშა ან სანდრა ზურას ოჯახს შეხვედრია?

— რამდენიმე შეხვედრა იყო... როგორც ვიცი, ხათუნა გოგორიშვილი აქტიურობდა... სხვათა შორის, 3 თებერვალს, როცა გვამი ჯერ კიდევ პროზექტურაში იყო, რესპუბლიკური საავადმყოფოდან ზურას სახლში წავედი და გიული ალასანია იქ დამხვდა — ქალბატონ რემას გვერდით ეჯდა...

— ცხედარი ნახე?

— მხოლოდ სახე... სხვათა შორის, როგორც კი ტუჩზე ნაჭდევი დავინახე, მაშინვე ვთქვი, რომ კლავდნენ, ალბათ, სიმწრისგან მოკვნიტა-მეთქი.

— ესე იგი, თავიდანვე ეჭვობდი, რომ მოკლეს?

— როგორც კი გავიგე, რომ გარდაიცვალა, მაშინვე მკვლელობის ვერსია გამიჩნდა... მახსოვს, დედაჩემმა გამაღვიძა, ტელევიზორი ჩართეო. მივუგე, რა იყო, ზურა მოკლეს-მეთქი?! არ ვიცი, ეს რატომ ვუთხარი... სასწრაფოდ ჩავიცვი და რესპუბლიკურ საავადმყოფოში გავიქეცი...

— გარდაცვლილი პრემიერის გარშემო არის ისეთი რამ, რაც მარინა მოლოდინმა იცის, მაგრამ მალავს და არასოდეს იტყვის?

— ასეთი არაფერია...

...არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ ის ადამიანი ვერ ვნახო, ვინც ზურაზე ხელი ასწია და მოკლა! ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პრესტიჟია: თუკი პრემიერის მკვლელობა შერჩებათ, მომავალში შეიძლება, კიდევ ბევრი პოლიტიკოსის მკვლელობის მოწმე გავხდეთ!

— მარინა, ერთი წამითაც არ უშვებ, რომ გამოძიებამ მკვლელობის მტკიცებულებები ვერ მოაგროვოს და სასამართლომ ძალაში ის ვერსია დატოვოს, რასაც ნაცონალები ამბობენ? მოვლენების ამ სცენარით განვითარება ჟვანიას გარემოცვისთვის ხომ უფრო დიდი ტრაგედია იქნება?

— ასე არ იქნება!

— ...ზეციურ საქართველოში ზურას რომ შეხვდე, რას ჰკითხავ?

— ვინ მოგკლა-მეთქი.

სხვათა შორის, ახალი გარდაცვლილი იყო, ზურა სულ მორგში მესიზმრებოდა: მაგიდაზე წამოჯდებოდა და რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ ვერ ვიმახსოვრებდი. ბოლოს, თავი დავარწმუნე, როგორც კი დამესიზმრებოდა, გამეღვიძა და ჩამეწერა, რასაც მეტყოდა. ერთხელაც მითხრა, ჩემს მკვლელს ნუ ეძებთ, თვითონ მიშამ მომკლაო.

— მიშას ამ სიზმრის მერე ელაპარაკე?

— არა, მანამდე...

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

ონკოპაციენტებს ფულს სძალავენ?

კიბოთი დაავადებული სოციალურად დაუცველი პირები მკურნალობის კურსს, უფულობის გამო, ვერ იტარებენ. „ვერსია“ დაინტერესდა, ეხმარება თუ არა სოციალურად დაუცველთა ჯანდაცვის დაზღვევა ონკოლოგიურ პაციენტებს ქიმიო და სხივური თერაპიის ხარჯების ანაზღაურებაში, ასევე ფინანსდება თუ არა შესაბამისი გამოკვლევები და მედიკამენტებით უზრუნველყოფა. აქვე, საინტერესოა, „თბილისის სახელმწიფო ონკოლოგიის ცენტრი“ რატომ ვერ უზრუნველყოფს პაციენტების სრულად და გამართულად მომსახურებას, რატომ უმალავენ გამგეობიდან გადმორიცხულ ფულს ონკოლოგიურ პაციენტებს, ვინ არის ყველაფერ ამაზე პასუხისმგებელი და რატომ ვერ იღებენ სათანადო ინფორმაციას სოციალურად დაუცველი ონკოპაციენტები მკურნალობის დაფინანსების შესახებ?

რა პრეტენზიები აქვთ კიბოთი დაავადებულებს ჯანდაცვის სამინისტროსა და ონკოლოგიურ ცენტრთან

ქალბატონი ხათუნა გურჯაანის რაიონში ცხოვრობს — ის სოციალურად დაუცველი ონკოპაციენტი და ერთ-ერთი მათგანია, ვისაც, უფულობის გამო, მკურნალობის შეწყვეტა მოუწია. ქალბატონ ხათუნას თბილისში ჩამოსასვლელად მგზავრობის ფულიც არ აქვს...

ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას ახმეტის რაიონში მცხოვრები 25 წლის მარი ხოსიკურიძეც, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნის მე-3 სტადიითაა დაავადებული და ქიმიო და სხივური თერაპიის კურსი, თბილისში ჩამოსასვლელი ფულის უქონლობის გამო, ხშირად დაგვიანებია. მარიმ „ვერიასთან“ საუბრისას „თბილისის ონკოლოგიის ცენტრი“ უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა და ჯანდაცვის სამინისტროს კითხვით მიმართა:

„ისედაც გაჭირვებული და დათრგუნული ვარ, არ ვიცი, ხვალ რა მელის. ონკოლოგიის ცენტრში ბევრ პრობლემას მიქმნიან და მტანჯავენ. ზოგჯერ ერთი საბუთის გულისთვის რამდენიმე დღეც მივლია. ახლა კი თითო კონსულტაციის დროს 40 ლარის გადახდას მთხოვენ. თუ უფასო ჯანდაცვა სოციალურად დაუცველებს მთლიანად აფინანსებს, ვერ ვხვდები, ფულის გადახდა რატომღა მიწევს? მინდა, ამაზე პასუხი ჯანდაცვის სამინისტროსგან მივიღო. დღეს თუ ხვალ, იძულებული გავხდები, მკურნალობის გაგრძელებაზე უარი ვთქვა“.

მარის თქმითვე, ახმეტის მუნიციპალიტეტიდან ონკოლოგიის ცენტრში გადარიცხული თანხა დაუმალეს და 80-ლარიანი ვალი დაადეს, თუმცა ეს „შეცდომა“ გამოასწრეს.

„თბილისის სახელმწიფო ონკოლოგიის ცენტრის ადმინისტრაცია და თანამშრომლები უპასუხისმგებლოები არიან და საქმეს თავს ვერ ართმევენ“, — ამბობს მარი.

„ვერსიასთან“ საუბრისას „თბილისის ონკოლოგიური ცენტრის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა დადასტურებულ თუ დაუდასტურებელ გადაცდომაზე მარი ხოსიკურიძესთან ერთად გაერკვევიან და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, პრობლემებს აღმოფხვრიან. ცენტრის წარმომადგენლის თქმითვე, კონსულტაციის საფასური საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №36 დადგენილებითაა განსაზღვრული და ამ თანხას საავადმყოფო პაციენტებს თვითნებურად არ ახდევინებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავის მხრივ აცხადებს, რომ სოციალურად დაუცველი ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ყველა პროცედურა 100%-ით ფინანსდება. ექიმთან კონსულტაცია კი უფასო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ პაციენტი უბნის ექიმს მიმართავს და არა პირდაპირ რომელიმე ონკოლოგიურ საავადმყოფოს, რომელიც თუნდაც სახელმწიფო საკუთრებაა. სამინისტროში ასევე ამბობენ, ონკოლოგიური პაციენტები, რიგ შემთხვევებში, დასაფინანსებლად ალტერნატიულ საშუალებებს თვითონ ეძებენ და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან ფინანსდებიან.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის 100%-იან ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ონკოქირურგიული ოპერაციების, ასევე ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობის (ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია) ხარჯები. თუ მოსარგებლეს ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობის კურსი ესაჭიროება, ყოველი ვიზიტის დროს, კონსულტაციის, საჭირო გამოკვლევებისა თუ პროცედურის ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას, ოღონდ უბნის ექიმთან მიმართვის შემდეგ — უბნის ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ ონკოლოგიურ ცენტრში გაგზავნის პაციენტს“, — განუცხადეს „ვერსიას“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

პრემიერმა მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებლებს შუამთობა მიულოცა

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის მაღალმთიან კურორტ ბეშუმში, შუამთობის დღესასწაულზე აღნიშნა, ზემო აჭარლები განსაკუთრებით კეთილშობილი და გამორჩეული ადამიანები არიან. პრემიერის განცხადებით, მისთვის სასიხარულოა, რომ უკვე მეორედ შუამთობის დღესასწაულს ზემომთიან აჭარაში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად ესწრება.

„ერთიანობისა და სიყვარულის გარეშე ჩვენი წარმატება მიუღწეველია, ამიტომ ამ დღეს მინდა ყველას მოგეფეროთ. მე მინდა აღვნიშნო აჭარლებისა და ზემომთიანი აჭარლების განსაკუთრებული კეთილშობილება. ვიცი, თქვენ ხართ გამორჩეული ადამიანები, გამორჩეული ქართველები, თქვენი გულით, თქვენი სიყვარულით, თქვენი სიკეთით. ჩემთვის ძალიან დიდი სიხარულია, ამას გულწრფელად გეუბნებით, რომ უკვე მეორე წელია თქვენთან ერთად ვზეიმობ ამ დღესასწაულს, შუამთობას“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ მინისტრი ზემომთიანი აჭარის ტრადიციულ დღესასწაულს შარშანაც ესწრებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

ჯო ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი განიხილავს შესაძლებლობას, ჩაერთოს ქვეყნის უმაღლესი პოსტისთვის ბრძოლის მარათონში.

კონფიდენციალური წყაროების ცნობით, ბაიდენმა და მისმა გარემოცვამ აქტიურად დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება და მიიჩნევენ, რომ ასეთ შემთხვევაში „დემოკრატებში“ ძალთა სერიოზულ ბალანსს გამოიწვევს, ჰილარი კლინტონის კანდიდატურას კი საფრთხეს შეუქმნის და დაასუსტებს.

გამოცემის ინფორმაციითვე, ამ დროისთვის ბაიდენი შეხვედრებს თავის რეზიდენციაში მართავს — ესაუბრება მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და სპონსორებს საპრეზიდენტო მარათონში ჩართვის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ბაიდენმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ამას მისი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ვაჟი ბო ბაიდენი ხშირად ურჩევდა.

„ინტერპრესნიუსი“

„მარგველაშვილი „პრივატიზაციას“ არ ექვემდებარება — ის თავისუფალი მოქალაქეა!“

მე-3 გვერდიდან

— **„გურიანიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მზადაა, შეხვდეს და „იდისკუსიოს“ ექსპერტებთან, რათა ერთად განიხილონ, კონკრეტულად რომელი წინასაარჩევნო დაპირება შესრულდა და რომელი არა. „ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი ბრძანდებით, გაქვთ სურვილი, ბიძინა ივანიშვილს შეხვდეთ და „იდისკუსიოთ“?**

— მოხარული ვარ, რომ თქვენგან მაინც გავიგე მისი ამ ინიციატივის შესახებ, რადგან სამწუხაროდ, ეს ინტერვიუ არ მინახავს. რასაკვირველია, სიამოვნებით ვეცდები, შევხვდე, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, ბატონ ბიძინას ამის სურვილი ექნება. გიმეორებთ, პირადი შეუთავსებლობა მასთან არ მაქვს, მეტიც, პატივს ვცემ მის უზარმაზარ ამაგს ამ ქვეყნის წინაშე და გული მწყდება, რომ თავად ერჩის საკუთარ თავს!

— **ხომ არ იცით, კონკრეტულად რა საკითხებზე იმსჯელეს ბიძინა ივანიშვილმა და არაბმა შეიხმა ნახევარსაათიან შეხვედრაზე?**

— ამ შეხვედრას არ დავსწრებივარ და არც ისეთ აპარატურას ვფლობ, რომლითაც ბიძინა ივანიშვილის კაბინეტში მოსმენას შევძლებდი. შესაბამისად, ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა ინვესტიციების განხორციელებას გეგმავენ არაბები, მაგრამ ზუსტად ვიცი, საქართველოთი ირანელი ინვესტორები დაინტერესდნენ. მას შემდეგ, რაც ცივილიზებულმა დასავლეთმა ირანს სანქციები მოუხსნა, რამდენიმე დღეში ამ ქვეყნიდან სხვადასხვა დელეგაცია ჩამოვიდა და უკვე ბიზნესწინადადებების შეთავაზებაც დაიწყო, ამიტომ ეს წინადადებები უნდა გამოვიყენოთ, რათა შავი ზღვის ზოლით დავაინტერესოთ, თანაც სწორედ ჩვენსავე საკუთარ, აფხაზეთის მონაკვეთზე. შესაძლოა, ეს რუსეთიდან დამატებითი სანქციის ფასად დაგვიჯდეს, მაგრამ არაფერია. ისეთ ტვირთმზიდ მცურავ საშუალებებს, როგორებიც ნავთობის გადასატანად ირანს აქვს, არც ერთი სხვა სახელმწიფო არ ფლობს და ცხადია, ჩვენი შავიზღვისპირეთი ამ ქვეყნისთვის საინტერესოა.

— **ბატონო სოსო, ცნობილია, რომ ნინო ბურჯანაძესთან კარგი ურთიერთობა გაქვთ. რამდენად სწორია, ოპოზიციური პარტიის ლიდერი რუსეთში რომ ჩადის და ცდილობს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაალაგოს? ეს ოპოზიციური პარტიის ლიდერის საქმეა?**

— საქმე ბევრად მარტივადაა: ქვეყანაში ოპოზიცია არსებული ხელისუფლების ოპონენტია, მაგრამ როდესაც საზღვრებს სცდება, ამ ქვეყნის დესპანი უნდა იყოს. როდესაც საზღვარგარეთ საკუთარი ხელისუფლების დისკრედიტაციას იწყებ, გასარკვევია, რა სჭარბობს ასეთ ოპოზიციონერში — საკუთარი თავით ტკბობა თუ სახელმწიფო ინტერესები? არ მგონია, ქალბატონ ნინოს საქართველოს ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი გაეკრიტიკებინა... ამ დარგში სხვა ოპოზიციური სუბიექტები ბევრად წარმატებულები არიან...

— **ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს გულისხმობთ?**

— არა მარტო. რაც მთავარია, ქალბატონი ნინოსთვის მოსკოვი უცხო გარემო არ გახლავთ, მან უმაღლესი განათლება მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ნაცნობობაც შესაბამისი აქვს და ცხადია, სერიოზული კონტაქტებიც. ნებისმიერ ადამიანს ვგულშემატკივრობ, რომელიც საქართველოს ინტერესების დასაცავად, საზღვარგარეთ მოქმედებს. სამწუხაროდ, თბილისში დაბრუნებულ ბურჯანაძეს, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის არცერთი პირი არ შეხვდა, თურმე, დრო ვერ გამონახეს. უკაცრავად, მაგრამ ქალბატონი ნინო პლისეცკაიას იუბილეზე კი არ წასულა, ეს იყო გრანდიოზული კონფერენცია, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნებოდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს თავი რომ დავანებოთ, მსოფლიო გლობალიზაციის კარიბჭესთან ატუზული ქვეყანა ვართ და იქნებ, ხელისუფლების წარმომადგენლები ოდნავ მაინც დაინტერესებულიყვნენ, კონკრეტულად რა საკითხები განიხილეს ამ კონფერენციაზე! ნუთუ, შეიძლებოდა, ასეთი ინფორმაციის მქონე ადამიანს არ შეხვედროდნენ?

— **საქართველოს ხელისუფლების პასუხი ასეთია: 6 ქვეყანასთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ სანქციას შეუერთდა!**

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! უკეთესი იქნებოდა, ეს სანქცია ძველებურად მიძინებული ყოფილიყო. მსგავსი მკაცრი სანქცია არავის გამოუცხადებია რუსეთისთვის. დღემდე დამამძიმებელია მისთვის ჩვენი სანქცია და ესაა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. პუტინოფობიით შეპყრობილ არც ერთ სხვა ევროპულ ქვეყანაში ასეთი აზრიც კი არავის მოსვლია!

ქეთი ჯაყელი: „საჯარო მოხელეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 10 წელზე მეტია ფუნქციონირებს და რეგიონული თუ სახელმწიფო უწყებისთვის საიმედო პარტნიორად იქცა. განსაკუთრებული მნიშვნელობა სკოლამ 2014 წლიდან შეიძინა — გარდა იმისა, რომ სტრუქტურული ცვლილებები განახორციელა, განახლდა სასწავლო პროგრამები, რათა უკეთ მორგებოდა იმ საჭიროებებს, რომელიც საჯარო მოხელეთა მუდმივ გადამზადებასთანაა დაკავშირებული.

სკოლის სამიზნე ჯგუფს საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებული პირები წარმოადგენს.

საჯარო მოხელეთა გადამზადება ორი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: 1. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, რომლის განხორციელებაც სკოლის პრიორიტეტია. პროგრამა ხორციელდება 2014 წლის 14 აპრილიდან ენის ფლობის სამ დონეზე (A1, A2 და B1), რომლის ფარგლებშიც 2014-2015 წლებში 2000-ზე მეტი საჯარო მოხელე გადამზადდა;

2. საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ დარგობრივ კურსებს: საჯარო ორგანიზაციების მართვა; ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში; სახელმწიფო შესყიდვები; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში; საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია.

პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების, სხვადასხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, საჯარო სექტორში მომუშავე პირთა პროფესიული განვითარება, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება. კურსის მიმდინარეობისას მსმენელებს აქვთ შესაძლებლობა, გაიცნონ ამ სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, რომლებიც მოწვეული სპიკერის სტატუსით გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2014-2015 წლებში 481 საჯარო მოხელე გადამზადდა. წარმატებულ კურსდამთავრებულთა რიცხვი 30%-ია, მათ საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის დასრულების შემდეგ წარმატებით გაიარეს ატესტაცია/კონკურსი თავიანთ სამსახურებში, ამასთან დაწინაურდნენ.

როგორ მიმდინარეობს სკოლაში სწავლება, სამომავლოდ რა პროექტები აქვთ დაგეგმილი, რა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან, ამ და სხვა საკითხებს სკოლის დირექტორი **ქეთი ჯაყელი** პასუხობს:

— რა არის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის მიზანი?

— ენის პროგრამის სწავლების მიზანია, სახელმწიფო მართვის სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს ენობრივი ბარიერი მოეხსნას და თანაბარ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეთ. სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან სახელმწიფო ენის საფუძვლებს, შეძლებენ ქართულად წერა-კითხვას, კომუნიკაციას, ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო თემებზე საუბარს, ასევე შეძლებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგებასა და შექმნას, საქმისწარმოების მიზნით დოკუმენტაციის ქართულად შედგენას. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება სკოლის 8 რეგიონულ სასწავლო ცენტრში: ახალქალაქი, ნინოწმინდა, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, წალკა, დმანისი, ლამბალო. აქედან გამომდინარე, პროგრამის მთავარი მიზანი ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მათი ინტეგრაციაა.

— არსებული ინფორმაციით, სწავლებას გეგმავთ იმ პირებისთვის, ვინც ჯერ არ არის დასაქმებული, რას გულისხმობს ეს პროექტი?

— გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სექტორში საქმისწარმოება, კონკურსები და ტესტირებები ქართულ ენაზე წარმოებს, სახელმწიფო მართვის სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებს მიმდინარე პროცესებში ჩართვას და სურვილის მიუხედავად, არ აქვს საშუალება, განვითარდეს, მოახდინოს შესაძლებლობების რეალიზება... სწორედ ამიტომ სკოლა გეგმავს გაფართოებას როგორც რეგიონების, ასევე სიღრმისეულად, სოფლების დონეზე არსებულ მუნიციპალიტეტებში. მსგავსი პრაქტიკა უკვე განხორციელდა ახალქალაქსა და ლამბალოში, სადაც სახელმწიფო ენის სწავლება სოფლების დონეზე ხდება.

— განვითარების კუთხით მომავალში კიდევ რა პროექტები იგეგმება?

— რადგან დაკვეთას ვიღებთ საჯარო სექტორიდან, სკოლამ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა საჯარო მოხელეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2015 წლის ბოლომდე იგეგმება სამი ახალი დარგობრივი კურსის დამატება. ეს იქნება: ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა; სატრენინგო პროგრამა გამწვანებისა და ეკოლოგიის თანამშრომელთათვის; ინფრასტრუქტურული პროექტები ტექნიკური ზედამხედველობის საკითხებში. სკოლას აქტიური ურთიერთობა აქვს მთავრობის ადმინისტრაციასთან, დეპარტამენტებთან, რეგიონებთან. სწორედ ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე, მიმდინარეობს ტექნიკური ზედამხედველობის საკითხებზე სატრენინგო პროგრამების შემუშავება.

— მსგავსი სკოლები ევროპულ ქვეყნებშიც წარმატებით ფუნქციონირებს, თუ გაქვთ მათთან კავშირი და საგანმანათლებლო კონტაქტები?

— სკოლის განვითარება სხვა წარმატებული სკოლების გამოცდილების გაზიარებისა და რჩევების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. სკოლის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ევროპული სკოლების პრაქტიკის გაზიარება, სწორედ ამიტომ 2014 წლის 17 ნოემბერს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ჩვენს სკოლასა და პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრირების ეროვნულ სკოლას შორის. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ტრენერებს შორის კვალიფიკაციის ამაღლებას და პოლონეთის სკოლასთან KSAP ერთად, ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და კონფერენციების ორგანიზებას. თანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს განათლების გაუმჯობესებას საჯარო ადმინისტრირების მოქმედი კადრებისთვის და მათი განვითარების ხელშეწყობას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჟვანიას სკოლას ევროპული სტანდარტების დამკვიდრებაში.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დააანონსა ახალი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. რა როლი ექნება ამ პროცესში ჟვანიას სკოლას, სად არის მისი ადგილი?

— განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონი ნინო ჭელიძის განმარტებით, ჟვანიას სკოლა იქნება დიდი მოკავშირე საჯარო რეფორმის გატარების სფეროში.

სკოლა გამოირჩევა მზარდი ტენდენციებით, მაღალი რეპუტაციითა და გამოცდილებით. სკოლა სისტემატურად ახორციელებს კვლევებს, რათა გამოავლინოს საჯარო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა საჭიროებები ახალი პროგრამების დანერგვისა და სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით. სკოლას აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსი, მრავალწლიანი გამოცდილება, სკოლას ჰყავს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ტრენერები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეთა გადამზადების პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

ჟვანიას სკოლა მზაობას გამოთქვამს, არსებული რესურსებით ხელი შეუწყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებას და აქტიურად იყოს ჩართული საჯარო მოხელეთა გადამზადების პროცესში.

გამოკითხვა

როგორ შიფრავს ხალხი ნატო-ს, იბიარდსა და სხვა ცნობილ აბრევიატურებს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სოსო ჯაჭვლიანის ცნობილი სამარცხვინო ინციდენტის მერე, როცა იბიარდის ინგლისური აბრევიატურა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ნიშნავს, ბორდელთან გააიგივა, „ვერსიამ“ გადაწყვიტა, გაერკვია, ხალხმა მსგავსი აბრევიატურების მნიშვნელობა იცის თუ არა. რესპოდენტებიდან ბევრმა გააპროტესტა, ამაზე საინტერესო თემა ვერ ნახეთო?! ბევრმაც ტრაფარეტული უწოდა. მოქალაქეებს შემდეგი აბრევიატურების გაშიფვრა ვთხოვეთ: ნატო, ეუთო, გაერო, ქეიეფთი, აიეფსი, ეიდიბი და რა თქმა უნდა, გახმაურებული იბიარდი.

25-27 წლის უცნობმა ერთი აბრივიატურაც ვერ გაშიფრა. 27 წლის რეზო კიკნაველიძემ კი მოგვიგო: „ი-ბი-არ-დი სოსოს მერე ვიცითო.“ სწორი პასუხი გაგვცა ნატო-ს, ეუთო-ს და გაერო-ზეც, თუმცა ცნობილი საფინანსო ორგანიზაციების გაშიფვრა გაუჭირდა.

31 წლის მამიამ ნატო და გაერო უპრობლემოდ გაშიფრა. შედარებით გაუჭირდა ეუთო. აიეფსი იცოდა. იბიარდიზე კი იხუმრა: „მაპატიეთ, მაგაზე თქვენთან ვერ დავილაპარაკებ“.

27 წლის თამარს, 29 წლის იზაბელას და 20 წლის მარიამს, დაახლოებით, ერთნაირი პოზიცია ჰქონდათ: არც გვაინტერესებს და იმდენი ნეგატივი მოდის, 2-3 წელია, ტელევიზორი არ ჩაგვირთავსო. შედარებით გარკვეული იყო 66 წლის ლექტორი მარინა ტაბატაძე, რომელმაც ქალებში საპრიზო ადგილი დაიკავა: იცოდა ნატო-ც, გაერო-ც, აიეფსიც და სანახევროდ იბიარდიც, ლინგვისტიკასთან ახლოს ვარ და მიყვარს აბრევიატურები, ჩემ სტუდენტებსაც ხშირად ვასწავლიო.

55 წლის ქეთევან გუგეშაშვილმა კი გაგვიმხილა: „არ მაინტერესებს პოლიტიკა. გულგატეხილი ვარ და საყოფაცხოვრებო პრობლემებით დამძიმებული. ისე, დაახლოებით ვიცი, რომელი რომელ სფეროში მოღვაწეობს“.

35 წლის ზურამ, ასე ვთქვათ, „თხრობით“ იცოდა ანუ ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომელი ორგანიზაცია რა ფუნქციას ასრულებს.

გოგონებში ყველაზე გარკვეული 28 წლის მარი ნიქაბაძე აღმოჩნდა — სწორად დაასახელა გაერო და იბიარდი: „ეიდიბი მსმენია და არ მახსოვს. ნატო-ს ზუსტად ვერ ვიხსენებ. კეიეფთი კი, საერთოდ არ გამიგია“.

42 წლის ოთარი მამაკაცებშიც და საერთოდაც, უდავო ლიდერია, თითქმის სრულ ჩამონათვალზე ჰქონდა პასუხი 47 წლის კარლოსაც. კიდევ ერთი დასტური: პოლიტიკა, სპორტის მსგავსად, გამოკვეთილად მამაკაცების ინტერესის სფეროა.

ახალგაზრდა გოგონას, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა და ზოგადი შეფასებით შემოიფარგლა: „ქვეყნების გაერთიანება ალიანსი ერთმანეთის დასახმარებლად“. 36 წლის მაკა ბერიძემ მხოლოდ გაერო და იბიარდი იცოდა.

24 წლის სტუდენტმა შავლეგმა გაერო-სა და ნატო-ზე სწორი პასუხი გაგვცა, იბიარდი ახლა გავიგეო.

ისე, ჩვენი ბედუკუღმართი ქვეყნისა რა ვთქვათ, თორემ ზოგან ისიც ძლივს იციან, პრემიერ-მინისტრი ვინაა.

ცნობისთვის: ნატო ინგლისური აბრევიატურაა და ქართულად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას ნიშნავს. ეუთო ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაა, გაერო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ყველაზე რთული მაინც კეიეფთია, რომელზე პასუხიც, პრაქტიკულად, არავის აღმოაჩნდა. ეს გერმანული ენიდანაა და „გერმანული სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ განვითარების ბანკს ნიშნავს. აიეფსი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ერთეულია და „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას“ შეესაბამება. ეიდიბიც არავის ეცნო, რომელიც აზიის განვითარების ბანკია. გადმოქართულებული მხოლოდ ეუთო და გაერო-ა. შესაძლებელია, რესპოდენტთა ნაწილს პასუხის გაცემა სწორედ ენობრივი ბარიერის გამო გაუჭირდა...

„კანონიერ ქურდ“ ბადრი კოღუაშვილს „ქათამი“ მიუგზავნეს...

შაქრო კალაშოვი ღგბტ-ებთან მოლაპარაკებას ცდილობს

პატიმარი №0578

ცნობილი ქართველი „კანონიერი ქურდი“ ბადრი კოღუაშვილი სასჯელს რუსეთში, კრასნოიარსკის მხარეში იხდის და მისჯილი 7 წლიდან ნახევარზე მეტი მოხდილი აქვს. მისი გათავისუფლებით პირადად შაქრო კალაშოვია დაინტერესებული და როგორც ამბობენ, კნიაზიჩი თანახმაა, ძმაკაცის თავისუფლების სანაცვლოდ, ასტრონომიული თანხა გადაიხადოს. გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი კოღუაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა გახდეს. სწორედ იმ მიზნით, რომ ექიმებმა შესაბამისი დასკვნა დაწერონ, კოღუაშვილი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იქ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა.

როგორც წესი, კოღუაშვილი ქურდების პალატაში უნდა შეეყვანათ, მაგრამ ცალკე პალატაში შეიყვანეს. იმავე პალატაში მალე მეორე პატიმარიც შეიყვანეს და გაირკვა, რომ ის მეორე ე.წ. საქათმის ბინადარი იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერთი საათიც საკმარისი იქნებოდა, რათა კოღუაშვილი ქურდის სახელსაც დამშვიდობებოდა და საავადმყოფოდან „საქათმეში“ გადაბარგებულიყო. მან ჯერ ბადრაგს სთხოვა პატიმრის გაყვანა და როცა არ მოუსმინეს, „ქათამს“ ისე სცემა, ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა. ეს ამბავი ერთი კვირის წინ მოხდა და ახლა კოღუაშვილს ახალი სასამართლო ელის. სასამართლოზე არასამთავრობო ორგანიზაციები და ლგბტ პირთა დამცველები სერიოზული აქციების გამართვას გეგმავენ და კოღუაშვილის სამაგალითოდ დასჯა სურთ. რაღა თქმა უნდა, ეს კალაშოვის ჩანაფიქრს თავდაყირა აყენებს. გახმაურებული პროცესიდან კანონიერი ქურდის „გამოძრომა“ მასაც კი გაუჭირდება, არასამთავრობოებთან მოლაპარაკება კი როგორი საქმეა, თავად ხვდებით. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ციხის ადმინისტრაცია ქურდისა თუ უბრალოდ, ქურდული ტრადიციების მიმდევრის გაფუჭებას „საქათმის“ ბინადრით ცდილობს. ამას ადრეც აკეთებდა, ახლაც აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს.

რუსთავის №17 დაწესებულებაში აღნიშნული პრაქტიკა მიღებული არ იყო, მაგრამ როცა სჭირდებოდა, ადმინისტრაცია სამინისტროს მითითებით, ე.წ. კაიბიჭების გაფუჭებას ამ გზით ცდილობდა.

კახა კ-ს ქურდობა უნდოდა და შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობდა, ციხეში თავი ისე წარმოეჩინა, ქურდებთან კარგი რეკომენდაცია მისულიყო. რეალურად, ზონაზე „საბლატაოც“ ბევრი არაფერი იყო, მაგრამ კახა ერთ-ერთ უკონტროლო პატიმრად ითვლებოდა და ღიად აფიქსირებდა, „სროკიც რომ დამიმატონ, მაინც ვიტყვი, რომ შავი სამყაროს წარმომადგენელი ვარო. ეს კი, ნაციონალების რეჟიმის დროს, ყველაზე დიდი თუ არა, ერთ-ერთი დიდი დარღვევა იყო. კახასთვის რამე უნდა მოეხერხებინათ და მარტივი გადაწყვეტილება მიიღეს — ბიჭს 10 წელი ჰქონდა მისჯილი და ერთი წლით „კრიტში“ გამოკეტეს. ერთი წლის შემდეგ, კახა ისევ რუსთავის №17 დაწესებულებაში დაბრუნდა.

„მაგარი იყო, იმდენი რამე ვისწავლე, აქ რომ ვერ ვისწავლიდი. კრიტში მართლა გამორჩეული პრისტუპნიკები სხედან და კარგია, იქ რომ გამიშვეს“, — სიხარულით ყვებოდა კახა და სულ არ ანაღვლებდა, რომ კრიტს თავის კვალი დაემჩნია — გამხდარი და ქაღალდივით თეთრი იყო. ერთ თვეში კახა ფერზე მოვიდა და კორპუსის მაყურებელიც გახდა. მაქსიმალურად ცდილობდა, ყველასთან სამართლიანი ყოფილიყო და პატიმრებსაც ეს პატარა ბიჭი აშკარად უყვარდათ. უსამართლოდ ვინმეს არც თავად ჩაგრავდა და არც არავის აჩაგვრინებდა. ყველა ამბობდა, აქედან რომ გავა, საზღვარგარეთის ვიზა და ქურდობა ზედ აქვსო. რა თქმა უნდა, ეს ხმა ადმინისტრაციაშიც მიდიოდა და ნერვები ყველაზე მეტად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ლაშა ბრეგვაძეს ეშლებოდა, რადგან მისი ზონა მომავალ ქურდს „ზრდიდა“.

„ფრთხილად იყავი, კახა, ძალიან ჩანხარ და არ გაპატიებენ, კრიტი კიდევ არაფერი, მართლა სროკი არ დაგიმატონ. მაგ ათ წელზე კიდევ ექვსი თუ დაგიმატეს და ბოლომდე მოგახდევინეს, ქურდობასაც დაემშვიდობე, 40 წლის ასაკში მონათლული ქურდი გაგიგია შენ? იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასე არ ხდება და იქნები თუ არა შენ ეს იშვიათი გამონაკლისი, კაცმა არ იცის“, — ეს სიტყვები კახას ძველმა პატიმარმა, ფრიდონმა უთხრა, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საერთო ჯამში, 27-ე წელს ითვლიდა და მის სიტყვას ფასი აშკარად ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ქურდების დროს ქუთაისის ციხესა და კრიტსაც კი უყურებდა. ეს კი პატარა საქმე არ იყო. სავარაუდოდ, სწორედ ამ დამსახურებების გამო, 60 წელს მიტანებულ ფრიდონას ყველა დიდ პატივს სცემდა.

ზონის ერთფეროვანი ცხოვრება ჩვეულად მიდიოდა, როცა ერთ საღამოს კახას ადმინისტრაციაში დაუძახეს. კახამ, ყურადღებით იყავით, არავის ველოდები, მით უმეტეს ზონის დაკეტვის წინო და ადმინისტრაციაში გადავიდა. ზონა უკვე იკეტებოდა, როცა ერთ-ერთმა ბალანდიორმა თქვა, კახა უგონო მდგომარეობაში საკაცით ჩაატარეს, მაგრამ ნაცემი რომ არის, არ ეტყობოდა, ნაჩალნიკის კაბინეტის წინ ვიყავი, ხმა არ გამოსულა, შევიდა და ხუთ წუთში საკაცით გამოიტანესო. მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, ვერაფერს მიხვდნენ და ოფიცერს ჰკითხეს, გაგვაგებინე, რა მოხდაო. რა და, კახა შეუძლოდ გახდა და ბალნიჩკაზეაო.

მეორე დილით ისევ ის ბალანდიორი მოვიდა, შეშლილი სახე ჰქონდა და ზონის პალაჟენეცი იკითხა. პალაჟენეცი მოვიდა, ამრეზით შეხედა ბალანდიორს და მიახალა: „რა ჩემი სირი გინდა?!“

ყველასთვის გასაოცრად, ბალანდიორმა ყურთან მიუტანა ტუჩები და რაღაც ჩასჩურჩულა. პალაჟენეცს ფერი დაეკარგა, დანარჩენებს გადახედა და სხადნიაკი, სასწრაფოდო, დაიძახა. მაყურებლების კამერაში ბლატატას ტევა არ იყო.

„კახა გაუთიშიათ, ჩუმად აუყვანიათ და ქათმების საკანში დაუწვენიათ. იქ არის ახლაც და შტირს ითხოვს. რა ვქნათ?!“ — იკითხა პალაჟენეცმა.

„თავის მოკვლა უნდა, ალბათ, მივაწოდოთ“, — თქვა ერთ-ერთმა, რომელსაც კახა არასოდეს მოსწონდა, მაგრამ რადგან სხვა იდეა არ იყო, ბალანდიორს შტირი გაატანეს. ზუსტად ათ წუთში, ქათმების კორპუსზე წივილ-კივილი ატყდა. პატიმრები იმ მხარეს გაიქცნენ და დაინახეს, რომ ეზოში „ქათამი პატიმრები“ გამორბოდნენ. სისხლი ყველას სდიოდა, ზოგი კისერზე იკიდებდა ხელს, ზოგიც — მუცელზე. ეზოში სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა და გათიშული კახა უკვე მეორედ ჩაატარეს პატიმრების წინ. ამჯერად მისი გათიშვა დუბინკების „დამსახურება“ იყო.

როგორც მერე გაირკვა, კახამ, ჯამში, რვა პატიმარი დაჭრა და ხელისუფლებამ 20 წელი დაუმატა ანუ მთლიანობაში 30 გამოუვიდა. რუსთავის ზონაზე კახა ამის მერე აღარ მოუყვანიათ და ამბობდნენ, ისევ გაკრიტესო. „კაი ბიჭების“ აზრიც გაიყო, ნაწილი ამბობდა, მაგის ქურდობა დამთავრებულიაო, ნაწილი კი იძახდა, მეორე დღეს რომ დაჭრა ქათმები, მაგის გამო აპატიებენო.

„არ ვიცი, ახლა როგორ არის, მაგრამ ჩემს დროს ეგ უპატიებელი შეცდომა იყო — ციხის ნაჩალნიკთან წვენი მოუსვია და მაგით გათიშულა. პატარა ბიჭი იყო და არ იცოდა, რომ როცა ადმინისტრაციაში მარტოა, არაფერი არც უნდა შეჭამოს და არც დალიოს. ძველი ქურდები არ აპატიებდნენ, ახლები რას იზამენ, აბა, მე რა ვიცი? ბევრი მათგანი ქურდი კი არა, კაცი არაა და ეს ყველამ იცის. გაფუჭდა ცხოვრება, გაფუჭდა“, — თქვა ფრიდონამ.

ვერსიანიუსი

ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელშეწყობით, აკადემიკოს ვაჟა ივერიელის სახელობის კლინიკა „ენმედიცმა“ და ფრანგულმა კომპანია „სანოფი ავენტისმა“ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებისთვის საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს. აქციაში სხვადასხვა პროფილის 20-მდე ექიმმა მიიღო მონაწილეობა. მათ სამედიცინო გამოკვლევები ქარელის რაიონის ხუთი სოფლის: ავლევის, ცერონისის, კნოვლევის, ბერძენაულისა და აბისის მოსახლეებს ჩაუტარეს. საქველმოქმედო აქციის მიზანია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლებმა უფასოდ მიიღონ პირველადი სამედიცინო მომსახურება.

„ვერსიანიუსი“

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და საბრძოლო მასალის შემოტანისთვის სომხეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საბაჟო პროცედურების გავლის დროს, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული რაზმიკ ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანის, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, სასაზღვრო პოლიციის მესამე სამმართველოს (წითელი ხიდი) მეექვსე სასაზღვრო სექტორის (სადახლო) დასაცავ მონაკვეთზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში 1,2 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 30 ცალი საბრძოლო ვაზნა კანონსაწინააღმდეგოდ საკუთარი ავტომობილით შემოჰქონდა. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება, ხოლო ავტომობილის დათვალიერებისას 30 ცალი საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამოღებული ნარკოტიკული საშუალება 271,08 გრამ კანაფის ფისს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანის, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

„ვერსიანიუსი“

პოლიციამ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ბაჩანა ფ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 1 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,343 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს ჰეროინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

მზისგან დამცავი კრემები კიბოს აჩენს!

მეცნიერთა შოკისმომგვრელი დასკვნა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

უცხოელი მკვლევარები შემაშფოთებელ განცხადებას ავრცელებენ და განგაშის ზარს რეკენ — მზისგან დამცავი საშუალებების ეპოქა კანის დაავადებების ეპოქად იქცა! რატომ აღმოჩნდა მსოფლიო ასეთი გამოწვევის წინაშე? — ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს, მაგრამ ფაქტია: ათასგვარი ქიმიური ნაერთით გაჯერებული მზისგან დამცავი კრემები არცთუ უვნებელია, როგორც მწარმოებლებს სურთ, წარმოაჩინონ. სხვა საქმეა, რატომ არაფერს აკეთებენ ტრადიციული მედიცინის მიმდევრები არსებული მითების დასანგრევად და რატომ უწყობენ ხელს მსოფლიო კოსმეტიკური ბაზრის მონოპოლისტებს კოლოსალური თანხების კეთებაში ადამიანთა ჯანმრთელობის ხარჯზე. ძნელია, კონკრეტული ფირმები ხელაღებით დაადანაშაულო, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ კოსმეტიკურ საშუალებათა უმრავლესობა სათანადო გამოკვლევებს არ ექვემდებარება. პროდუქტის პოპულარობას კი მოთხოვნა განსაზღვრავს, შემოსავალიც ამაზეა დამოკიდებული და სწორედ ეს ჩაკეტილი წრეა შექმნილი არცთუ სახარბიელო მდგომარეობის თავი და თავი. კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებლებმა, ჯანდაცვის მსოფლიო „უსტაბაშთა“ დახმარებით, წარმატებით შექმნეს „მზის სიცრუის თეორია“ და დამცავი საშუალებებიც დღითიდღე პოპულარული ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეცნიერულ დონეზე არავის შეუსწავლია.

მონოპოლისტების აფერა

საკვები პროდუქტისა და წამლის კონტროლის ამერიკული ორგანიზაცია (FDA) კატეგორიულად ეწინააღმდეგება მზისგან დამცავ საშუალებებში ნატურალური ინგრედინტების გამოყენებას, რაც არაერთხელ დამტკიცდა — თუ ვინმე ეცდება, შექმნას მზისგან დამცავი ნატურალური საშუალება, ინგრედიენტებად კი გამოიყენოს ეგზოტიკური ბალახეული ექსტრატი, რომელსაც რეალურად ძლიერი დამცავი ეფექტი აქვს, არასოდეს მისცემენ უფლებას, გაყიდოს როგორც მზისგან დამცავი საშუალება. მხოლოდ FDA წყვეტს, რა უნდა გამოიყენოთ მზის დამწვრობისას და რა — არა. ასეთ დროს კი ნაკლებმნიშვნელოვანია პროდუქტის ეფექტურობა, რადგან შემოსავალი წმინდათა წმინდაა! ეს ორგანიზაცია მხოლოდ ორი ნატურალური ინგრედიენტის — ცინკისა და ტიტანის ოქსიდის გამოყენებას უშვებს. დანარჩენი კი „ტექნიკის საქმეა“. რეალურად, ყველა ნატურალური დამცავი აღიქმება დანაშაულად და ექვემდებარება კონფისკაციას.

ესაა მონოპოლია მზეზე, — აცხადებენ მეცნიერები და ღიად საუბრობენ, რომ ყველაფერი ერთადერთ მიზანს ემსახურება — დაიცვან ქიმიური კონცერნების ინტერესები, რაც თავის მხრივ, ბაზრიდან ნატურალური პროდუქტის გაძევებას ითვალისწინებს.

გაირუჯეთ და „შეიზილეთ“... კიბო!

ჯანსაღი რუჯი და არანაირი მზის დამწვრობა ამა თუ იმ დამცავი საშუალების გამოყენებით მითია და სხვა არაფერი. მზისგან დამცავი თითქმის ყველა საშუალება შეიცავს კანცეროგენებს. აბა, სცადეთ, წაიკითხოთ რომელიმე მსგავსი კრემის შემცველობა — ვერც კი წარმოთქვამთ ზოგიერთი ინგრედიენტის დასახელებას, რადგან უმრავლესობა სწორედ კანცეროგენების, პარაბენების, ტოქსიკური ქიმიური ნაერთებისა და ნავთობპროდუქტის „შესანიშნავი“ ნაზავია... ამ ინფორმაციიდან კი ლოგიკური დასკვნის გამოტანა უმარტივესია — მზისგან დამცავი ჩვეულებრივი კრემი ასეთივე „ჩვეულებრივი“ ქიმიური თავდასხმაა კანზე, რაც არაერთმა კვლევამ დაადასტურა — დაცვის მაგივრად სიმსივნის განვითარებას უწყობს ხელს.

სტატისტიკურად, იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც მზისგან დამცავ საშუალებებს აქტიურად იყენებს, D ვიტამინის ნაკლებობას უჩივის და სწორედ ეს უწყობს ხელს სიმსივნის განვითარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ დეპრესიასა და ჰორმონალურ დარღვევებზე.

ეს არ ნიშნავს, რომ მზისგან დამცავი საშუალებები არასოდეს უნდა გამოვიყენოთ, უბრალოდ, ისინი ნატურალური უნდა იყოს და ერთ-ერთი ასეთი ზეითუნის ზეთია, ცოტაოდენი ლიმონის წვენით გაზავებული. გარდა ამისა, რაც მეტი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია თქვენი კვების რაციონში, მით გამძლეა თქვენი კანი მზის მიმართ.

რუჯი არ იწვევს კიბოს!

მცდარია მოსაზრება, თითქოს მზეზე გარუჯვა კანის კიბოს იწვევს, მაგრამ სიმსივნე ულტრაიისფერი სხვებისა და საკვები ნივთიერებების ქრონიკული დეფიციტის ფონზე უდავოდ შეიძლება განვითარდეს. ესაა ბნელი სიმართლე მზისგან დამცავი საშუალებების შესახებ — რაც მეტად იყენებთ მათ, მით უფრო უწყობთ ხელს კიბოს განვითარებას და მით მეტი შემოსავალი აქვს კიბოსთან ბრძოლის ცენტრებს.

ცუდი კვება, ანტიოქსიდანტების გამორიცხვა კვების რაციონიდან და მზისგულზე კოტრიალი უმოკლესი გზაა სიმსივნისკენ. არადა, ტრადიციული მედიცინა კატეგორიულად აიგნორებს კვების გავლენას და კონცენტრირებულია მხოლოდ ქიმიურ კრემებზე. სიფრთხილე მაშინაც საჭიროა, როცა მზისგან დამცავ საშუალებებს ამშვენებს წარწერა: „ნატურალური“, პარალელურად კი შემადგენლობაში მითითებულია მეთილი, პროპილი, ბუტილი, ეთლი, ტრიეტანოლამინი, დიეთილამიდი...

მზისგან დამცავი ნებისმიერი კრემი, მინიმუმ, ათ კანცეროგენულ პარფიუმერულ ინგრედიენტს შეიცავს. თუ შემცველობაში ნახსენებია ეთილჰექსილპალმიტატი ან მსგავსი ნივთიერება, ეს ნიშნავს, რომ მწარმოებელი, უკეთეს შემთხვევაში, „გაღადავებთ“, უარეს შემთხვევაში კი კანის კიბო გარანტირებულია.

სამედიცინო განათლება სულაც არ სჭირდება იმის ცდონას, რომ D ვიტმინის ნაკლებობა ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს, პირველ რიგში კი ხელს უწყობს ბავშვებში რაქიტის განვითარებას.

მართალია, მეცნიერთა ნაწილი ულტრაიისფერი სხივების მავნებლობაზე საუბრობს და კანის ნაადრევ დაბერებაზეც აპელირებს, მაგრამ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში არსებული სტატისტიკური მონაცემები საპირისპიროს ამტკიცებს — ბოლო ათწლეულებში კანის კიბოს შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა მზისგან დამცავი კრემების გამოყენების ფონზე, მელანომას შემთხვევები აშშ-ში სამჯერ, ევროპაში კი ხუთჯერაა გაზრდილი.

ამ მაჩვენებელს მეცნიერთა ნაწილი გარუჯვის პოპულარობით ხსნის, მეორენი კი ყველაფერში მზისგან დამცავ საშუალებებსა და მათ შემდგენელ ქიმიურ ნივთიერებებს ადანაშაულებენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია: მზისგან დამცავი საშუალებების შემადგენლობა უბრალო მოკვდავთათის საგულდაგულოდაა გასაიდუმლოებული და მისი ცოდნა მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისა ხვედრია. ინფორმაცია უდავოდ, არაა სახარბიელო, მაგრამ ათასობით ადამიანის დასნებოვნებით მოსვრილ სისხლიან ხელებს, როგორც ჩანს, ნაშოვნი მილიონები ადვილად ჩამორეცხავს, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ მათი შემმოწმებელი ბუნებაში არ არსებობს და თუკი არ არსებობს დანაშაულის იარაღი, შესაბამისად არც დანაშაული არსებობს იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო მეცნიერები ირწმუნებიან, კანის კიბოს მიზეზი კოსმეტიკური საშულებებიაო. და დიდი ამბავი, განვითარებული ქვეყნები კონტროლის მექანიზმს თუ აამოქმედებენ, სამაგიეროდ, არსებობს მესამე მსოფლიოს ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სადაც ბაზრის კონტროლი, რა ხილია, დღემდე ვერ გაურკვევიათ.

სევდიანი და სასაცილო ფრუნზიკ მკრტიჩიანი

რუსუდან ხავთასი

ფრუნზიკ მკრტიჩიანი საქართველოში ყველას უყვარს — გიორგი დანელიას ფილმების უცვლელი პერსონაჟის ხუმრობებს დღესაც ხშირად გაიგონებთ. თბილისში, ავლაბარში, „მიმინოს“ პერსონაჟებთან ერთად, „შოფერი“ ხაჩიკიანის ძეგლიც დგას, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა ტრაგიკული იყო ყველაზე მხიარული სომეხი მსახიობის ცხოვრება. „ვერსია“, ინტერნეტში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, სევდიან ფრუნზიკ მკრტიჩიანს გაგაცნობთ.

ფილმში — „ჩვენი ბავშვობის ტანგო“ ფრუზნიკი იტანჯებოდა, მაყურებელი კი გულიანად იცინოდა. ფრუნზიკ მკრტიჩიანი ძალიან სასაცილო კაცი იყო — დაბალი, უზარმაზარი კეხიანი ცხვირით, საუბრის უცნაური მანერით. ერთხელ, სცენაზე გამოვიდა, რამდენიმე წუთი ჩუმად იდგა. მერე მაყურებელს თავი დაუკრა და კულისებში გავიდა... დარბაზი სიცილისგან დაინგრა.

ის, რომ ყველა ფრუნზიკს ეძახდა და არა — ფრუნზეს, კეთილ ღიმილს იწვევდა. ალბათ, ყველას აინტერესებს, თვითონაც იცინოდა თუ არა ფრუნზიკ მკრტიჩიანი? შესაძლოა, შორეულ ბავშვობაში იცინოდა. მაშინ, როცა შინაურებისა და მეზობლებისთვის თეატრალურ წარმოდგენებს აწყობდა, ალბათ, ხალასი და გულწრფელი სიცილით იცინოდა. ალბათ, მაშინაც ასეთივე სიცილი ჰქონდა, როცა უსაყვარლესი ჩარლი ჩაპლინის ფილმებს უყურებდა...

ფრუნზიკი 1930 წელს დაიბადა. დედამისი ჭურჭლის მრეცხავი იყო, მამა — მეტაბელე. მეოცნებე ბიჭი ღრუბლებიდან მიწაზე მაშინ დაეშვა, როცა მამამ კომბინატიდან საკაბე ნაჭრის დიდი რულონი მოიპარა და დაიჭირეს. უფროსი მკრტიჩიანი ფიქრობდა, რომ მოპარულს გაყიდდა და შინ საჭმელს მაინც მიიტანდა. მშიერ ბოროტმოქმედს ციხეში თავი 10 წლით უკრეს. ფრუნზიკისთვის ყველა უნივერსიტეტი დაიხურა და იძულებული გახდა, სკოლის დასრულების შემდეგ, სამუშაოდ ქარხანაში წასულიყო. ერევნის სამხატვრო-თეატრალური ინსტიტუტის დიპლომი კი მხოლოდ 1956 წელს აიღო.

მოგვიანებით, ირონიით ყვებოდა კინოში მოხვედრის შესახებ. ფრუნზიკი ფილმში — „სევანის ტბის საიდუმლო“ თავად ალექსანდრ როიმ მიიწვია. მკრტიჩიანს მარტივი ამოცანა ჰქონდა: გზიდან უნდა მოეშორებინა ქვა, რაც იდეალურად შეასრულა, თუმცა რეჟისორმა ჩათვალა, რომ ფილმში „ძალიან ბევრი“ იყო და კადრი ისე დაჩეხა, ფრუნზიკისგან მხოლოდ ცალი ფეხიღა დარჩა. მიუხედავად ამისა, ფრუნზიკ მკრტიჩიანის კომედიური ტალანტი გიორგი დანელიამ შეამჩნია და მსახიობი ჯერ კომედიაში — „ოცდაცამეტი“ მიიწვია, შემდეგ კი ფილმში — „მიმინო“. მკრტიჩიანს „შოფერი“ ხაჩიკიანის როლი განსაკუთრებით უყვარდა... გადაღებებზე დანელია სრული იმპროვიზაციის უფლებას აძლევდა, რაც სხვა მსახიობებისთვის დაუშვებელი იყო. მკრტიჩიანი გადასაღებ მოედანზე ნამდვილი „თამადა“ იყო — თავად თხზავდა ხუმრობებს, დგამდა მიზანსცენებს, იგონებდა ეპიზოდებს... სწორედ ფრუნზიკს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: «Я к нему такой личный неприязнь испытываю, что кушать не могу». ამ დროს მთელ გადამღებ ჯგუფს სიცილისგან მუცელი ხელით ეჭირა.

დანელიას ორ ფილმს შორის მკრტიჩიანმა მოასწრო გაიდაისთან „კავკასიელ ტყვე ქალში“ გადაღება, სადაც ნინას ბიძის როლი შეასრულა, მისი მეუღლის როლზე კი, მისივე ცოლი, ულამაზესი დინარა მკრტიჩიანი მიიწვიეს. ფრუნზიკს უსაზღვროდ უყვარდა დინარა, რომელმაც ვაჟი და ქალიშვილი აჩუქა, ამიტომაც ძალიან გაუხარდა რეჟისორის ეს გადაწყვეტილება, თუმცა მისი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. გადაღებების შემდეგ, დინარა თითქოს შეცვალეს: ფრუნზიკს სკანდალს სკანდალზე უწყობდა, ისტერიკაში ვარდებოდა და უყვიროდა, ყველა ქალაქში საყვარელი გყავსო.. მოკლედ, ეჭვიანობა ფრუნზიკისთვის გაუსაძლისი აღმოჩნდა. მკრტიჩიანს ურჩიეს, დინარა კარგი ფსიქიატრისთვის ეჩვენებინა. სწორედ მან აუხსნა, რომ ცოლის უაზრო ეჭვიანობის მიზეზი საყვარლები სულაც არ იყო — დინარა შიზოფრენიით ყოფილა დაავადებული. ფრუნზიკის დამსახურებით, დინარა ქვეყნის საუკეთესო ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, საფრანგეთის საუკეთესო კლინიკაშიც წაიყვანეს, მაგრამ მისი განკურნება ვერ მოხერხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გაირკვა, რომ დედისგან უკურნებელი სენი ვაჟიშვილსაც გადაეცა.

კოლეგები ამბობენ, რომ ექიმებისგან ორი საყვარელი ადამიანისთვის გამოტანილმა „განაჩენმა“, ფრუნზიკი საბოლოოდ გაანადგურა. იშვიათად გამოდიოდა საზოგადოებაში. მეგობრებს ღიმილით ხვდებოდა და ხუმრობდა, მაგრამ თავად არასოდეს იცინოდა... ღამღამობით, ქუჩაში სრულიად მარტო დახეტიალობდა... სიცოცხლის ბოლოს, ახალმა პროექტმა თითქოს ამქვეყნისკენ მოაბრუნა — ფრუნზიკს შესთავაზეს, ერევანში საკუთარი თეატრი გაეხსნა, თუმცა 1993 წლის 29 დეკემბერს, ახალ წლამდე 2 დღით, ადრე გული გაუჩერდა.

ამბობენ, რომ 1994 წელს მსოფლიო სომხური დიასპორა წუთიერი დუმილით შეხვდა და ასე მიაგო პატივი ყველაზე სასაცილო და ყველაზე სევდიან ნიჭიერ მსახიობ ფრუნზიკ მკრტიჩიანს!

1. ძალიან მაღალი შენობა
2. ადამიანი, რომელმაც ბევრი ენა იცის
3. კვერცხის თეთრი გარსი
4.მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძმით.
5. ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში
6. ბანქოს პოპულარული თამაში
7. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
8. განათლებული, კულტურული ადამიანი
9. დიდი ქვა
10. სოიას ხაჭო
11. ძვირფასი სარეწაო თევზი
12. იაპონელი მწერალი
13. ძველეგვიპტელთა წმინდა ხარი
14. საკონდიტრო ნაწარმი
15. წიგნების საჯარო დაწვა
16. კაენის მსხვერპლი
17. უდანაშაულობის საბუთი
18.საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი
19. ბუსებრი თუთიყუში
20. აშშ-ის შტატი
21. პატარა ზომის კენგურუ
22. გზა ფრონტის გასწვრივ
23. სალვადორ დალის მეუღლე
24. კიბოს დაავადების მეორეული კერა
25. ტროპიკული ხილი
26. ქალაქი ტიპის დასასლება
27. ხორვატიის დედაქალაქი
28.თოვლის ბებო „ივერიის“ მიუზიკლში
29.კარაკუტილი საზოგადოებ. ჯგუფი
30.ცეცხლგამძლე ლაბორატ. ჭურჭელი
31. ლატვიის დედაქალაქი
32. ქუსლიანი დიდი ჯამი
33.ქალის ვარცხნილობის ტიპი
34. ქალაქი აშშ-ში
35. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
36. თმის მცენარეული საღებავი
37. ოქროს მთლიანი ნაჭერი
38ხორბლის და ჭვავის ნაჯვარი კულტურა
39. კურორტი ხარაგაულის რაიონში
40. ფუტკრის სახლი
41. შებოლილი ხორცი
42. დიონისეს აღმზრდელი და მისი მხლებელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში
43. ცხოველის ხტუნის ბოლო ნაწილი
44.ოტელოს მტერი
45. ქალ. თურქეთში
46. ძროხის ნობათი
47. 1000 კგ
48. ქიმიური ელემენტი
49. რუსული ესტრადის პრიმადონა
50. შეჯიბრება ავტომობილ. რბოლაში
51. სასვენი ნიშანი
52.მუსიკ. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
53. „წყალი“-ლათინურ და იტალიურ ენაში
54აფრიკაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი
55. აფრიკული შხამიანი გველი
56. აშშ-ის ექს-პრეზიდენტი ... კლინტონი
57. რადიოლოკატორი
58. ფაშისტთა საკონცენტ. ბანაკი
59. მუსიკოსი ... ჯაგერი
60. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
61. ჭაობის მცენარე
62. ბედუინების ეროვნული საძოსი

„ᲑᲝᲛᲯᲘᲡ“ ᲛᲡᲣᲠᲒᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

აშშ-ში, ქალაქ სიეტლის მცხოვრებმა უსახლკარომ გადაწყვიტა, უჩვეულო ბიზნესი წამოიწყოს: ყველა მსურველს, „ბომჟის“ ცხოვრების გასაცნობად ექსკურსიას სთავაზობს, „სულ რაღაც“ 2 ათას დოლარად. ამ ინფორმაციული ექსკურსიის წყალობით, კარგად გაუგებთ და დააფასებთ იმ ადამიანებს, ვინც მუდმივად ასეთ პირობებში ცხოვრობს და შთაბეჭდილება მთელი ცხოვრება გაგყვებათ, — ნათქვამია მომენის სატზე, სადაც ამერიკელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამას ფულისთვის არ აკეთებს —„მინდა, ადამიანებს თვალი ავუხილო“, — ამბობს იგი და ეიმედება, რომ ახალი ბიზნესი წარმატებას მოუტანს.

პურზე წასასმელი ლუდი შექმნეს

იტალიელიური ლუდსახარშის, Emanuela Laurenzi-ის და შოკოლადის მწარმოებელი Pietro Napoleone-ის ძალისხმევით, ბაზარზე ახალი ლუდი გამოჩნდა, რომელიც შეგიძლიათ პურზე წაუსვათ და ისე მიირთვათ, როგორც შოკოლადის პასტა. საამისოდ ქარვისფერი სასმელი ერთგვაროვანი, ნაღების კონსისტენციის მასად აქციეს. შედეგად წარმოიშვა პროდუქტი Birra Spalmable — პასტისებრი ლუდი ინტენსიური არომატითა და მკვეთრად გამოხატული გემოთი. სიახლე Selfridges-ის ოფიციალურ საიტზე იყიდება და 280-გრამიანი ქილა 12 დოლარი ღირს. ახალი „სასმელი“ ჯერჯერობით ორი სახეობის გამოდის — მუქი და ნათელი. მწარმოებლების თქმით, ის იდეალურად უხდება პურს, ყველს, ასევე შეიძლება ღვეზელის შიგთავსადაც გამოიყენოთ.

აეროპორტში ლამებს ამუშავებენ

ჩიკაგოს ო’ჰარას საერთაშორისო აეროპორტმა სამსახურში უჩვეულო თანამშრომლები აიყვანა. აეროპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწრაფად მზარდი ბალახით სრულად რომ არ დაიფაროს, ლამებს, თხებს, ცხვრებსა და ვირებს „ამუშავებენ“. ო’ჰარა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტია და ეკოლოგიურ პრობლემებს მეტად სერიოზულად ეკიდება, თუმცა ზოგჯერ საკმაოდ უცნაური მეთოდებით. ასე მაგალითად, ბევრი შენობის სახურავი ნამდვილ გაზონებად აქციეს, რაც ტერიტორიის გადახურების რისკს ამცირებს. ასევე, ამ აეროპორტის ტერიტორიაზე 28 სკა დგას, სადაც მილიონამდე ფუტკარი „მოღვაწეობს“. მიღებულ თაფლს კი აეროპორტის მაღაზიებში ყიდიან. ახლა კი ტერიტორიის ბალახისგან გადასარჩენად რქოსნები მიიყვანეს.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8							3	9
	6		8	1				
		9						5
1	2		5	9			7	
	9			7	6		1	8
9						5		
				3	2		8	
6	3							2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7						2	
		9						6
			1			4		5
4		8	9	6				
			3		1			
				5	4	6		3
9		4			3			
7						3		
	5						7	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

	3		9	5				6
	9	6		7		1		
							9	
	2		8	6	5	9		
		3	2	9	1		5	
	6							
		4		3		6	2	
7				2	9		3	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8								
4					1	3	9	8
			9		4	1		
	9	2			6			7
5			7			8	6	
		7	2		9			
9	2	5	3					1
								3

ცისფერი თვალები ნიჭიერებაზე მეტყველებს

როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ნიჭისა და სხვადასხვა შესაძლებლობების აღმოჩენა ტესტირებისა თუ სხვა გამოკითხვების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი, ამისთვის კი საკმარისია, თვალებში ჩახედოთ და ფერი გაიგოთ. როგორც ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, ყველაზე ნიჭიერები ცისფერთვალა ადამიანები არიან. ლუისვილის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო. ისინი ერთი კრიტერიუმით — ცისფერი თვალების გამო შეარჩიეს. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები ცხოვრებაში უფრო წარმატებულები იყვნენ, ვიდრე სხვა ფერის თვალის მქონე მოხალისეები. გაირკვა ისიც, რომ საკუთარი კარიერითა და ფინანსური მდგომარეობით კმაყოფილი ყავისფერთვალიანი ადამიანები გაცილებით ცოტანი იყვნენ. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ცისფერთვალება ხალხი წარმატებით ითვისებს რთულ პროფესიებს. ისინი მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევიან და ადვილად იგებენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების გულს. ცისფერთვალა ადამიანებს ხშირად უმართლებს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ჰოკეი და გოლფი. ჯერჯერობით მეცნიერებმა ვერ მოუძებნეს ახსნა აღმოჩენილ ფენომენს. ამოცანის ამოხსნას ისიც ართულებს, რომ თვალის ფერი რთული გენეტიკური კომბინაციის შედეგია და ხშირად რამდენიმე თაობის შემდეგ ვლინდება.

ახალი ქვეყანა დევნილებისთვის

ებრაული წარმომავლობის ამერიკელი მილიონერი ჯეისონ ბუზი აცხადებს, რომ საჭიროა სრულიად ახალი სახელმწიფოს შექმნა, სადაც ნებისმიერი ქვეყნიდან დევნილები იცხოვრებენ. საკუთარი პროექტის განსახორციელებლად, რომელსაც „ლტოლვილების ერი“ უწოდა, ბუზი მიწების ყიდვას სხვა ქვეყნებისგან გვთავაზობს, ანდა ზღვაში ახალი, ხლოვნური კუნძულების შექმნას. მილიონერის თქმით, საკუთარი ტერიტორიის ნაწილის გაყიდვას დათანხმდებიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინდონეზია ან დომინიკა. ბუზი იმედოვნებს, ახალი სახელმწიფო ახალ სახლად იქცევა 59,5 მილიონი დევნილისთვის მთელი მსოფლიოდან. მსგავსი პროექტის წარმატებით განხორციელების მაგალითად მას ისრაელი მოჰყავს, რომელიც დევნილების ქვეყნად დაფუძნდა, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებისთვის. ბუზი აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეა გრანდიოზული იყოს, მაგრამ დღეისთვის არსებული პრობლემის ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილებაა. ახალ პროექტთან დაკავშირებული სპეციალური საიტის შექმნასა და სარეკლამო კამპანიაზე ბიზნესმენმა უკვე 15 ათასი დოლარი დახარჯა, ხოლო რამდენად განხორციელებადია იდეა, მომავალი გვიჩვენებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	8	7	1	2	5	4	3	9
4	3	2	9	8	7	5	1	6
5	1	9	3	6	4	2	8	7
3	4	1	7	9	8	6	5	2
9	7	6	5	3	2	1	4	8
2	5	8	6	4	1	7	9	3
1	9	5	2	7	3	8	6	4
7	6	4	8	1	9	3	2	5
8	2	3	4	5	6	9	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	2	9	8	4	5	6	3	1
5	8	6	3	2	1	7	9	4
3	1	4	7	6	9	2	5	8
4	9	8	6	3	2	5	1	7
6	3	7	5	1	8	9	4	2
2	5	1	4	9	7	3	8	6
1	7	5	2	8	3	4	6	9
9	6	3	1	7	4	8	2	5
8	4	2	9	5	6	1	7	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	4	9	8	5	2	1	7
2	7	5	1	6	3	4	9	8
1	9	8	2	7	4	6	3	5
9	3	7	4	1	6	5	8	2
8	5	6	7	3	2	9	4	1
4	2	1	5	9	8	3	7	6
7	8	3	6	2	9	1	5	4
6	4	9	8	5	1	7	2	3
5	1	2	3	4	7	8	6	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	6	7	9	5	4	3	2	1
2	5	3	1	8	7	4	9	6
1	4	9	6	3	2	5	8	7
5	3	6	8	4	9	7	1	2
4	8	2	7	1	6	9	5	3
9	7	1	5	2	3	6	4	8
7	2	5	3	9	8	1	6	4
6	1	4	2	7	5	8	3	9
3	9	8	4	6	1	2	7	5

მე-10 გვერდი: 1. შამბერიერი; 2. ჰოსპიტალი; 3. შოსე; 4. მიმიკრია; 5. ელდორადო; 6. ისრიმი; 7. ოფთალმოლოგია; 8. პალატინუსი; 9. ტაბუ; 10. ლენა; 11. პკე; 12. მესი; 13. ოიმიაკონი; 14. რადამესი; 15. თალიბანი; 16. ონო; 17. ბრავო; 18. ტყვია; 19. კვირია; 20. ალანი; 21. ყურანი; 22. მაროკო; 23. ლოტო; 24. სიმდი; 25. იდეა; 26. ალონსო; 27. ტიფი; 28. სიო; 29. „ოდოია“; 30. ლანდაუ; 31. „ირმისა“; 32. „კია“; 33. ანოა; 34. არკა; 35. პინია; 36. ასკილი; 37. ნინია; 38. ოქსინო; 39. იავა; 40. პიკი; 41. „აეკი“; 42. გინეკეი; 43. თმა; 44. ემი; 45. კაი; 46. ლუი; 47. მითი; 48. ირი; 49. პიანო; 50. ინდი; 51. ტიარა; 52. ჯონკა; 53. კანოე; 54. ავა; 55. ნავთი; 56. გო; 57. იარა; 58. ნარი; 59. კოკაი; 60. სიუ; 61. აბიო; 62. ბუდე; 63. იო; 64. განდი.

მე-12 გვერდი: 1. კოლაბორაციონიზმი; 2. იპოდრომი; 3. კანონი; 4. ლუტეცია; 5. ბუტლეგერი; 6. ნოემბერი; 7. ზაბულონი; 8. იჩქერია; 9. ირბისი; 10. ტიტანი; 11. „ბოლერო“; 12. ენოთეკა; 13. „კომბლე“; 14. ელცინი; 15. ონო; 16. ემალი; 17. ჩირი; 18. ბაგე; 19. რამაზანი; 20. რენომე; 21. ემი; 22. სერია; 23. „პეჟო“; 24. იაფი; 25. ბრმა; 26. მითი; 27. აკინი; 28. პრინცი ჰარი; 29. ჟვანია; 30. ლეიდენი; 31. ამინ; 32. რეი; 33. „ლეკური“; 34. იბლისი; 35. ისლი; 36. ნიუ; 37. ფაუ; 38. არმაღანი; 39. მჭადი; 40. ბუი; 41. საკე; 42. ცვილი; 43. გოჭი; 44. ინარი; 45. იუდეა; 46. ბაქო; 47. აბოვიანი; 48. სოიერი; 49. გურუ; 50. ნანდუ; 51. ადენომა; 52. დინარი; 53. ბრაჰმა; 54. სუნი; 55. ილჰამ; 56. იაკი; 57. „ტოსკა“; 58. იასაყი; 59. დელიბი; 60. ქააბა; 61. ანეტო; 62. ბარდღუნია; 63. სირიუსი; 64. არბალეტი; 65. ბზე; 66. ლეი; 67. დანაე; 68. კამიუ; 69. კროსვორდი; 70. კია; 71. მეი; 72. კაკა; 73. ყავადანი; 74. მარაბუ; 75. ტემზა; 76. სამანი; 77. ემა; 78. იასამანი; 79. დო; 80. კვირიაკე.

ფეხსაცმელს მაკულატურისგან აკეთებენ

ტაივანელმა დიზაინერმა ფეხსაცმლისა და ჩანთების შექმნა მაკულატურისგან დაიწყო — ამ ორიგინალური გზით ის ცდილობს, ძველი გაზეთების უზარმაზარ გროვებს შეებრძოლოს. 50 წლის კოლინ ლინმა აღიარა, რომ მისი ქმნილებები პოპულარული გახდა არა მხოლოდ ტაივანში. ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან დამზადებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა აშშ-სა და ევროპის ბაზარზეც. ჩემს საწარმოში მე ვზრუნავ კომფორტზე, სტილის აქტუალურობასა და გარემოზე, — აცხადებს მოდელიორი. პროდუქციის წარმოების დაწყებიდან მაკულატურისგან დამზადებული უკვე 4 ათასი წყვილი ფეხსაცმელი გაიყიდა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, ქოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ქობულეთში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge